საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი, 14 ივლისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი,** მეოთხე გვერდზე **6 მანეთი.** სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი.** ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 156 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 156

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის

## ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

ალექსანდრე და არსენ ლომთათიძეები ამით აცნობებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 16 ივლისს პარასკევს ბახვის (გურია) ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი დედის

ელისაბედის

სულის მოსახსენებლად. (2—1)

ვაკის (მუხიანის) რაიონში გადაცვლილ ამხანაგ-მუშების:

ერმილე და ნიკიფორე კეკელაძეების, არსენ ნიკაბაძის, ერისტო და ყარამან ციგაძეების, იოსებ გერსამიას, მაქსიმე იორდანეს ძე სვანაძის, ერისტო ჯოხაძის, ილარიონ გაგუნაშვილის და ილიკო გერაიას

ხსოვნის აღსანიშნავათ დანიშნულია საზოქალაქო პანაშვიდი პირველი ექვსის ს. ოფშკვითის წმ. გიორგის და ნათლისმცემლის ეკლესიის სასაფლაოზე 18 ივლისს 11 საათზე, მეორის საყულიის მთავარ ანგელოზის ეკლეს. სასაფ. ამავე დღის 2 საათზე; მესამის 17 ივლისს მუხიანში 10 საათზე და მეოთხის ფარცხანაყანევის წმ. გიორგის ეკლ. სასაფლაოზე ამავე დღეს 12 საათზე, რასაც აუწყებენ ამხანაგ-მეგობრებს და გარდაცვალებულთა ნათესავ-ნაცნობებს ს. ჯინჭველაშვილი და სხვა ამხანაგები. (2271—1—1)

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება გულითადის მწუხარებით აუწყებს თავის წევრთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სოფ. იყალთოში 10 ივლისს გარდაიცვალა საპატიო წევრი საზოგადოებისა

დიმიტრი ივანეს ძე მაყაშვილი

განსვენებულის პატივსაცემლად დღეს, 14 ივლისს ნაშუადღევის 1 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი. (2293—1—1)

ახალი წიგნი

გამოვიდა გასასყიდათ ს. დოლიძის წიგნი

„ბუნება და ჯანმრთელობა“

წიგნში მოთავსებულია ბევრი სასარგებლო ცნობა-დარიგებანი ჯანმრთელობის შესახებ. ახლავს სხემა ტანთ სავარჯიშო სურათების. შეიცავს 100 გვერდს. ღირს ყველგან 50 მ. (2224—3—3)

მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პრ.) ხუთშაბათს, ივლისის 15-ს გაიმართება

ლადო მაჭავარიანის

საღამო

I. სიტყვები, ლექსები, მინიატიურები

მონაწილეობენ: გრ. რობაქიძე, დუტუ მეგრელი, ვარ. რუხაძე, გალაკტიონ ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ტიც. ტაბიძე, ხარ. ვარდოშვილი, ივ. ყიფიანი, გრ. ცეცხლაძე, აკ. ბერიკაშვილი, ლ. მაჭავარიანი.

II. „საუბედურო დებიუტი“

მხიარული კომ. 1 მოქ.

წარმოდგენილი იქნება ქართველ მსახიობთა მიერ. მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

III. იუმორი. თაგუნა, ნ. გოცირიძე და სხვ. დასასრულ ვახშამი კაბარეთი, საღამო გაგრძელდება ღამის 3 საათამდე.

განცხადება

რკინის გზ. სასურსათო კომიტეტისათვის საჭიროა სხვადასხვა ხარისხის ხე-ტყის მასალა 200.000 კვად. ვერშოკი. წერილობითი განცხადება უნდა შემოიტანოთ სასურსათო კომიტეტის კანცელარიაში, აგრეთვე ცნობებისათვისაც იქვე უნდა მიმართოთ (ელისაბედის ქ. № 200), განცხადებები მიიღება ამა წლის 20 ივლისამდე. (ნ. 3—1)

ერობათა კავშირის კომიტეტი

იწვევს სამსახურში

კორესპონდენტის თანამდებობაზე

ინგლისური, ფრანგული და იტალიანური ენების კარგათ მცოდნე პირს, რომელსაც უნდა შეეძლოს მიწერ-მოწერის თავისუფლად წარმოება და ჰქონდეს ბუღალტერიის ცოდნა. მისამართი: რუსთაველის პრ. № 24. (ნ. 1—1)

მუშათა ცენტრალურ კლუბში

(პლეხანოვის ქუჩა, სახ. № 123).

პარასკევს, 16 ივლისს, გაიმართება

დიდი საღამო

ამხ. ა. ლანდიას ოჯახის სასარგებლოთ.

წარმოდგენილი იქნება რუსულად

„ჩუდოვიშჩე“

ორ მოქმედებიანი პიესა, მონაწილეობენ: ლანი, პეროვსკაია, ვოლგინ, ტანდიტ, პაშკოვსკი, ივანოვა. დასდგავს ვ. ხ. ლანი.

დივერტისმენტი და კონცერტი

საუკეთესო ძალებით, მიიღებენ მონაწილეობას: სკრიპკა-ვიოლონჩელი, ლატარეია, ცოცხალი ყვავილები და სხვ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 20 მან.—40 (წევრებისათვის). სტუმრები და გარეშენი იხდიან 30—100 მან. ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა. (უ. 2—1)

სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა

იწვევს: ორს ინჟინერს (გზათა აღმშენებ. და ჰიდრო-ტეხ.), ორს სათემო ინსტრუქტორს, სამს აგრონომს, ერთ სკოლების ინსტრუქტორს, ექიმებს ფარმაცევტებს, ორ მომრიგებელ მოსამართლეს, ორს ვეტერინარ ექიმს, ბუღალტერს (საერობო ბუღალტერიის მცოდნეს), და სამეურნეო ინსტრუქტორებს, თხოვნების და შესაფერი საბუთების წარდგენით უნდა მიმართონ ზემოხსენებულ გამგეობას. პირობების შესახებ გამგეობასთან შეთანხმებით.

სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა. (ნ. 3—1)

ექიმი

ნიკოლოზ სიმ.-ძე ხეჩინოვი

იღებს სახებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74. 2048—თ.

## იმპერიალიზმის საკუთხეველზე

ადარბეიჯანის ჯარი ზანგეზურს შესია. სომხეთის მთავრობაც სამხედრო ზომებს იღებს საზღვრების დასაცავად. ამ ნაირად დღეს სომხეთ-ადერბეიჯან შორის ნამდვილი ომია გაჩაღებული. ნადგურდება ქალაქ-სოფლები. იხოცება აუარებელი ხალხი. ნუ თუ ორივე ქვეყნის დემოკრატიამ არ უნდა დასვას კითხვა: ვის უნდა ეს ომი? ვის ინტერესს ემსახურება ის? იმის შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა თანამედროვე დემოკრატია, მას ქონდა ერთად-ერთი გზა. ეს იყო შეთანხმება და ყოველივე სადაო კითხვების მშვიდობიანი გზით მოგვარება. რატომ არ ეკითხებიან დღევანდელი ადერბეიჯანის მესვეურები, თუ რა სურთ ზანგეზურის მცხოვრებთ. რატომ არ აძლევენ ნებას მათ თითონ გადასწყვიტონ, ვისთან უნდათ ყოფნა: ადერბეიჯანთან თუ სომხეთთან? ძველებურ იმპერიალისტებს ერთი რამ ახასიათებდათ. ეს იყო ხალხის სურვილის წინააღმდეგ მოქმედება. სხვისი კუთხეების ძალით დაპყრობა და შემოერთება. ვინც ზანგეზურის მცხოვრებთ ძალით ახვევს თავის ნებას—წმიდა წყლის იმპერიალისტია. ადერბეიჯან-სომხეთის მთავრობას ერთი გზა აქვს სადაო კითხვების გადასაჭრელად. თავიანთი სურვილი მათ უნდა შეუფარდონ სადაო კუთხის მცხოვრებთა სულის კვეთებას. ვინც ამ გზას გაურბის, ის არის ხალხის მტერი და ერთა შორის შუღლის და მტრობის გამღვივებელი, ნაციონალურ ომის გამჩაღებელი და იმპერიალისტური პოლიტიკის მატარებელი.

მაგრამ შეიძლება ეს ახალი ომი „უმაღლეს პოლიტიკას“ ემსახურებოდეს შეიძლება დღევანდელი ადერბეიჯანის მესვეურები ფიქრობენ მსოფლიო რევოლუციის შესწირონ სომხის ხალხი, რადგან ის ცხოვრობს იმ გზაზედ, რომელიც მიდის ბაქოდან ქემალ-ფაშის სამხედრო შტაბის ბანაკისაკენ. თუ ასე დგას კითხვა, მაშინ ზედმეტია ლაპარაკი ზანგეზურის მცხოვრებთა ინტერესებზედ და სულის-კვეთებაზედ. მაგრამ ეს საჭიროა იცოდეს მთელი ქვეყნის დემოკრატიამ. მსოფლიო რევოლუციის ალხიმიკებმა უნდა პირდაპირ უთხრან სომხის ხალხს, რომ ის განწირულია. მისი მომავალი მსხვერპლად ეწირება ქემალ-ფაშის პროგრამის განხორციელებას. მაშინ საერთაშორისო დემოკრატიას ეცოდინება, რომ ერთ დროს სომხის ხალხი ზვარაკად ეწირებოდა დასავლეთ ევროპიელების იმპერიალისტებს, ახლა იგივე ხალხი, მისი გადარჩენილი ნაწილი ეწირება ზვარაკად აღმოსავლეთის ახლად გამოჩეკილ იმპერიალისტებს. ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ ევროპის პროლეტარიატი ზიზღით შეხედავს ასეთ მოქმედებას და ერთ წუთსაც არ მოისურვებს თავისი ბედნიერება მთელი ერის განადგურებაზე ააგოს.

თუ სურთ აიცილონ პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე, სომხეთ-ადერბეიჯანის მთავრობებს ერთი გზა დარჩენიათ. მათ უნდა შეაჩერონ სისხლის ღვრა და სადავო კითხვები მშვიდობიანი გზით გადაჭრან. ვინც ამას გაურბის, ის მტერია თავისი ხალხის და მთელი საერთაშორისო დემოკრატიის სურვილების წინააღმდეგ მოქმედებს.

## საბჭოთა რუსეთი

### III.

### საბჭოები და კომისარები.

ვინ აწარმოებს იმ „ბაშიბუზუკურ პოლიტიკას“, რომელზედაც ილაპარაკა ყველა დელეგატებთან ერთად თვით ლენინმა?

ესენია საბჭოები და კომისარები.

როგორ იქცევიან და რაში გამოიხატება ეს „ბაშიბუზუკური პოლიტიკა“?

სანამ ამაზე ავალაპარაკებდეთ თვით ბოლშევიკებს—ორიოდე სიტყვა საბჭოებზე.

ჩვენში გავრცელებულია ის ყალბი აზრი თითქოს რუსეთში ყველაფერი მართლა მუშების ხელში იყოს და თითქოს ეს მუშები განაგებდენ რუსეთის საქმეებს საბჭოების საშუალებით. მართალია, ამის შესახებ ძალიან ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ კომუნისტები, მარა, სინამდვილეში კი საბჭოები არავითარ როლს არ თამაშობენ. ისინი მხოლოდ ფიქტიური ორგანიზაციებია და მეტი არაფერი.

როგორც ვიცით რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოთ ითვლება სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობა. მარა ეს ყრილობა იკრიბება **წელიწადში მხოლოდ ორჯერ** (ხაზი ყოველგან ჩვენია). ასეთია მისი წესდება. ამ წელიწადში ორხელ ყრილობაზე მას არ შეუძლია, რასაკვირველია, გაითვალისწინოს და გადასჭრას ყველა ის საკითხები, რომლებსაც ასე ბლომათ აყენებს რუსეთის ცხოვრება. ყრილობა იღებს მხოლოდ ზოგიერთ ზოგადი ხასიათის დებულებებს და იშლება. ამრიგათ ის მოკლებულია საშუალებას ჩაერიოს ყოველ-დღიურ ცხოვრებაში და მის მოწესრიგებაში მონაწილეობა მიიღოს. ამ დღიურ მუშაობას და ყველა იმ კითხვებს, რომლებსაც ყრილობიდან ყრილობამდე მომენტი აყენებს (და ასეთები კი უთვალავია) სწყვეტენ პრეზიდიუმები, უკეთეს შემთხვევაში, აღმასრულებელი კომიტეტები. ასეა ცენტრში. პროვინციაში ხომ ზინოვიევის თქმით „მხოლოდ საზეიმო დღეებში იკრიბებიან საბჭოები“.

ამ რიგათ, ფაქტიური გამგე-პატრონი დღევანდელი რუსეთისა არიან აღმასრულებელი კომიტეტები და მათი პრეზიდიუმები. ამან გამოიწვია ის, რომ უსაქმოთ დარჩენილი საბჭოები დაღრა, დაჭკნა, აქა-იქ თითქოს გაქრა. მეორე მხრით, ეს პრეზიდიუმები და აღმასრ. კომიტეტები მოსწყდენ მასას და უდიდეს ბიუროკრატებათ გადაიქცენ. ამ ბიუროკრატობაზე და მასაზე მოწყვეტაზე ილაპარაკა ორატორების მთელმა რიგმა. ბიუროკრატიზმთან საბრძოლველათ ყრილობამ სპეციალური დადგენილებაც კი მიიღო. ამ მდგომარეობის დასახასიათებლათ საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე დელეგატის სიტყვა.

დელეგატი მგელაძე. „**მე მეკითხებით—იყო თუ არა თუ გინდ ერთი შემთხვევა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, რომ ცდილიყვენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში მუშები მონაწილე გაეხადათ?!** უნდა ვსთქვა აშკარათ რომ ჩვენ მოვსწყდით მასას, გადავეჩვიეთ მასთან ღიათ და პატიოსნათ ლაპარაკს. ამხანაგებო! არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ ჩვენ არ დაუახლოვდით მასას, ეს მასა ჩვენ აღარ დაგვენდობა. **წადით მოსკოვის ქარხნებში და თქვენ დაინახავთ, რომ სხვადასხვა არამზადებს უსმე[..]ენ და ჩვენ კი კარა**“. (გვერ. 183).

**დელ. იგნატოვი.** „**ჩვენში არამც თუ იწვევ[..] მუშებს ა[..]** **მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ, პირიქით, ვშორდებით ამ მუშებს**“. (გვერ. 170).

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. საბჭოთა კონსტიტუციის ძირითად ერთეულს შეადგენს არა მუშათა საბჭო, არამედ სოფლის საბჭო. სოფლის საბჭოები ერთდებიან და ადგენენ სამაზრო საბჭოებს. სამაზრო საბჭოები — საგუბერნიოს. და აი ამ საგუბერნიო საბჭოებში შედის უმნიშვნელო რიცხვი მუშათა (ქალაქის) საბჭოების წარმომადგენლებისა. ამ რიგათ, მუშათა საბჭოები ერთავად გათქვეფილია გლეხთა საბჭოებში.

მუშათა საბჭო, ეს არის ორგანიზაცია კლასიური, გლეხთა საბჭო—ეს არის ორგანიზაცია წოდებრივი. გლეხთა წოდება ფარავს სხვადასხვა სოციალურ ელემენტებს. გლეხთა საბჭოები—ეს მთელი გლეხობის **ფაქტიური** ორგანიზაციაა. მართალია, აქა-იქ „კულაკებს“ წართმეული აქვთ საარჩევნო უფლება და ასე ის საბჭოს გარეშეა დატოვებული, მაგრამ გლეხობის დანარჩენი ნაწილიც ხომ სხვადასხვა კლასიური ელემენტებისაგან შესდგება! ეს არის მარქსიზმის ანბანი. და აი იმ ხალხმა, რომელიც ჩვენ გვიკიჟინებს მარქსიზმის ღალატს,—დაივიწყა ეს ანბანი და მუშათა საბჭოების გლეხთა საგუბერნიო საბჭოებში გათქვეფით პროლეტარიატი ფაქტიურათ გლეხებს დაუმორჩილა და მისი იდეოლოგიის გავლენის ქვეშ დააყენა. ეს ახლა ისე აშკარა შეიქნა, რომ დელეგატი **ანტონოვი** პირდაპირ აცხადებს ყრილობაზე: „**ჩვენი კონსტიტუცია შეგუებულია და ემსახურება უმთავრესათ სოფლის მცხოვრებლებს და არა პროლეტარიატს**“. (გვერ. 172).

როგორც ვხედავთ, რუსეთის ქებულმა და ვითომდა სანიმუშო კონსტიტუციამ გაბატონა გლეხობა და მათი საბჭოები.

ვინ მეთაურობს ამ საბჭოებს? მეთაურობს უეჭველად კომუნისტი. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ეს კომუნისტები მეტად მცირე რიცხოვანია. უკანასკნელი ყრილობის მნგარიშით კომუნისტურ პარტიაში ითვლება მხოლოდ **რვაასი ათასი წევრი.** რაღა თქმა უნდა ესენი ვერ გასწვდებიან ვეებერთელა რუსეთის ყველა საქმეებს და ისიც დღევანდელ საშინელ პირობებში. გონიერი პოლიტიკური პარტია აქედან იმ დასკვნას გამოიყვანდა, რომ შეუძლებელია ასეთ დიდ და დანგრეულ სახელმწიფოს მოუაროს ასე მცირე რიცხოვანმა პარტიამ და რომ საჭიროა სხვა ძალების დახმარება. მარა პოლიტიკური სიბეცე არ აძლევს ამის გაგების და შეგნების საშუალებას რუსეთის კომუნისტებს. ეს იწვევს ზოგიერთ კომუნისტში გულის წყრომას და აი დელეგატი **ვოლინი** გულის ტკივილით აცხადებს: „ჩვენში ახლა გამეფებულია განსაზღვრული ტრადიცია: **ვოლოსტის აღმასრულებელი კომიტეტების სათავეში აუცილებლათ უნდა იყოს კომუნისტი. არ იშოვება, მარა სულ ერთია:** „роди, но давай комуниста. ამის შედეგია ის, რომ სხვადასხვა არა კეთილ-სინდისიერი და უვარგისი ელემენტები ამა თუ იმ გზით შედიან პარტიაში და ჩვენ კი მათ, როგორც პარტიის წევრებს ვაყენებთ საბჭოების სათავეში“. (გვერ. 176).

აი ვინ მეთაურობს დღეს გლეხთა საბჭოებს და ასეთი პირებისაგან შემდგარ საგუბერნიო საბჭოებში, როგორც ზევით ვთქვით, თანახმად მათი კონსტიტუციისა, გათქვეფილია მუშათა საბჭოები.

ამ რიგათ, ყველა ეს საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები ერთავად კომუნისტების ხელშია, მათი დაშორება კომუნისტურ პარტიაზე ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ ორიოდე სიტყვა თვით ამ პარტიაზე და მის წევრებზე.

კომუნისტები ქვეყანას აჯერებენ, რომ ჩვენ ვართ ნამდვილი და ერთად-ერთი პარტია პროლეტარიატისაო. ნამდვილათ კი, როგორც ვთქვით, მათი პარტიის წევრთა რიცხვი უკანასკნელი ყრილობის ანგარიშით რვას ათასს არ აღემატება. და ეს მაშინ, როცა სრულიად რუსეთის ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირის ანგარიშით, გარდა დონისა და ჩრდილოეთ კავკასიისა პროფეს. კავშირებში შეკავშირებულია 3,676,200 მუშა. (Отч. Всер. Цен. Проф. Союзов. 1919 г. გვერ. 76).

როგორც ხედავთ, ოთხ მილიონამდე მუშიდგან თვით მათივე მოწმობით მხოლოდ რვაას-ათასი წევრი ითვლება პარტიაში. მარა როგორც ირკვევა თურმე არც ეს რვაასი ათასი არის ყველა მუშა! როცა ამის შესახებ ჩამოვარდა ყრილობაზე ლაპარაკი, დელეგატმა **სახნოვსკიმ** განაცხადა: „შეხედეთ მოსკოვის ორგანიზაციის ციფრებს—რამდენი წევრი ყავს მას? **ოქტომბერთან შედარებით ის მცირეა და თუ მაინც საერთოდ წევრთა რიცხვი გაიზარდა—ეს მოხდა არა პროლეტარიატის ხარჯზე, არამედ საზოგადოების სხვა ნაწილების ხარჯზე. სულ სხვა კითხვაა პარტიაში მუშების მიღება. ჩვენ ვიღებთ ცენტრიდან დირექტივებს, რომლის თანახმად უნდა ვეშინოდეს, რომ პარტიაში ზედმეტი მუშა არ მოხდეს. მუშებს პარტიაში არ უშვებენ, საბჭოების ჩინოვნიკებს და ათასი ჯურის „ბარიშნამაშინისტკებს“ კი ფართოდ და პირველათ უღებენ კარებს.** (გვ. 149).

სახნოვსკი ცნობილი კომუნისტია. ის ერთი ლიდერთაგანია და აი ის ყრილობაზე საჯაროთ აცხადებს, რომ ცენტრი დირექტივებს იძლევა: „ზედმეტი მუშა არ შეუშვათ პარტიაში“, რადგან „საშიშიაო“.

მუშათა პარტიას მუშების ეშინია!

რომ ასეთი „შიში“ მართლაც არსებობს, ამას აღნიშნავს არა მარტო სახნოვსკი, არამედ მთელი რიგი ორატორებისა და მათ შორის ზინოვიევი. „**არ შეიძლება ითქვას, ამხანაგებო, რომ დღემდე ჩვენ ფართოდ უღებდით კარებს მუშებს და გლეხებს.** აქ ჩემის აზრით მართლა საჭიროა შესწორების შეტანა. ამ მხრით ჩვენ არავითარი საშიშროება არ მოგველის. ახლა რომ ჩვენს პარტიაში შემოიჭრას მუშების და გლეხების მთელი გროვა, თუ გინდ პარტიულ პროგრამაში ჯერ კიდევ გაუწრთვნელნი, ამით ჩვენ არავითარი ხიფათი არ მოგველის. **მე მგონია, რომ ის შიში, რომელიც ამის შესახებ არსებობს, უსაფუძვლოა**“. (გვერ. 242).

როგორც ვხედავთ, მუშების პარტიაში შეშვების ეშინიათ და არ უშვებენ. სამაგიეროთ „მაშინისტებს და ჩინოვნიკებს ფართოდ უღებენ კარებს“ და აი ეს გაკომუნისტებული „მაშინისტკები და ჩინოვნიკები“ მოეფინენ რუსეთს, მის სახელმწიფოებრივ ორგანოებს სათავეში მოექცნენ და პროლეტარიატის დიქტატურის სახელით ისეთ ოპერაციებს ახდენენ საბრალო რუსის ხალხის მრავალ-ტანჯულ სხეულზე, რომ იდეური კომუნისტები მოთმინებიდან გამოდიან და „თავზე თმებს იგლეჯენ“, იმის მოგონებაზე, რაც მათ ნახეს და რაც დღეს გრძელდება.

არ ყოფილა ყრილობაზე დელეგატი, რომ ამ საშინელებაზე არ ელაპარაკა.

**აი დელეგატი ასინსკი.** „Въ партію набиваются дрянь, люди съ билетами, но безъ багажа въ головѣ, партія переживаетъ періодъ застоя“ (გვერ. 143).

**დელეგატი ნოგანი.** „ჩვენი პარტია დაეცა, მომუშავენი ცენტრში და ადგილობრივ იქცევიან ისე, რომ ჩვენ პარტიას მიწასთან ასწორებენ. ეს უნდა ითქვას ყრილობაზე, ეს არ უნდა დავმალოთ. **ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ კომისიაში ჩვენ მივიღეთ აუარებელი ისეთი საშინელზე უსაშინელესი ფაქტები ლოთობაზე, თავაშვებულებაზე, მექრთამეობაზე, ყაჩაღობაზე და უჭკუო მოქმედებაზე, რომ თმები ყალყზე გვიდგებოდა, როცა გვიამბობდენ ყოველივე იმას, რასაც სჩადიან ბევრი ჩვენი ამხანაგები. უნდა მივიღოთ განსაზღვრული დადგენილება პარტიის გასაჯანსაღებლათ**“. (გვერ. 145).

**დელ. სოპრონოვი.** „ის სისაძაგლე, რომელზედაც ნოგინი ლაპარაკობდა, მართლა არის ადგილობრივათ. უნდა შეიქნას ცენტრში რაიმე ორგანო, რომელიც შეებრძოლება ყოველივე ამას, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ“ (გვერ. 146).

**დელ. სახნოვსკი.** არის ერთი ებრაული ანეგდოტი. ებრაელმა ღმერთს შესჩივლა გაჭირვებაზე, რომ მისი ქოხი პატარაა, უსუფთაო და რომ მას არ შეუძლია ასე იცხოვროს და მოკვდეს. ღმერთმა უბრძანა, რომ თავის ქოხში თანთანობით შეეყვანა ცხენი, ძროხა და ფრინველები და შემდეგ ჰკითხა: „ხომ უკეთესათ ცხოვრობსო?“ „არა—უპასუხა ებრაელმა—კიდევ უფრო უარესადო“. მაშინ ღმერთმა უბრძანა: „გამორეკე ყველა და გასწმინდე ქოხიო“. ამის შემდეგ ებრაელი მოვიდა და ღმერთს უთხრა; „ახლა კი ნამდვილი სამოთხეა ჩემსასო“. ამხანაგებო! ჩვენ იმდენი навели всякой твари, რომ თუ გავსწმინდეთ კარგათ, გლეხობაც თავისუფლათ ამოისუნთქავს და იტყვის: ახლა კი სამოთხეა ბოლშევიკებისაგანო. **როცა მე ლენინის მატარებლით დავდიოდი პროვინციაში, ჩვენ თან გვქონდა წიგნების საწყობები, გვქონდა კინემატოგრაფი, მარა არ გვქონდა ერთი რამ: არ გვქონდა სატუსაღო ვაგონი, რომ დაგვეტუსაღებია მთელი აღმასრულებელი კომიტეტები და ისე მოგვეყვანა მოსკოვში**“ (გვერ. 150).

**დელ. ვოლინი.** „გუშინ ბევრი ილაპარაკეს ჩვენი პარტიის ავათმყოფობაზე. იგივე უნდა ითქვას საბჭოებზედაც. პირველ ყოვლისა ჩვენში ადგილობრივათ საშინელი უმსგავსოება ხდება. ამაზე მუდამ უნდა ვილაპარაკოთ. როგორ უნდა ვებრძოლოთ იმას, რაც ხდება მაზრებში და სოფლებში? **ზოგიერთ გუბერნიაში სიტყვა კომუნისტი წარმოუდგენელ ზიზღს იწვევს არა მარტო კულაკებში, არამედ ხშირად ღარიბებსა და საშუალო გლეხობაშიაც.** ბევრ ადგილას არიან ისეთი მომუშავენი, რომლებიც მცხოვრებთა შორის მხოლოდ ზიზღსა და სიძულვილს იწვევს. ესენი უნდა გადავიყვანოთ ერთი სოფლიდან მეორეში, ერთი მაზრიდან მეორეში, ერთი გუბერნიიდან—მეორეში“ (გვ. 176).

**ავანესოვი** (ალმ. კომ. პრეზიდიუმის მდივანი). სამხედრო და აღმასრულებელი კომიტეტები ხშირათ სჩადიან ისეთ უმსგავსოებას, რომელზედაც მე შეუძლო დიდხანს მელაპარაკა (გვ. 177).

**ზინოვიევი.** ამ მოვლენასთან საბრძოლველად პარტიამ უნდა გამოყოს საუკეთესო ძალები. უამისოდ ჩვენ სრულიად დავიღუპებით. **მართლაც და არ შეიძლება ყრილობაზე იმ ფაქტის დამალვა, რომ ადგილობრივ სიტყვა „კომისარი“ სალანძღავ და საძულველ სიტყვად იქცა. კაცი ტყავის კურტკაში,** (კომისრებს უმეტესად ტყავის კურტკა აცვიათ. შეგრობარი), **როგორც ამას პერმში ამბობენ ხალხში მხოლოდ სიძულვილს იწვევს.** ამის დამალვა სასაცილო იქნებოდა. ჩვენ ვიცით რომ მაზრებში და ადგილობრივ ისეთი სასწაულები ხდება, რომელთან შედარებით ყველაზე უდიდესი საქმე ჩვენი ძალალი კომისარებისა ბავშვების სათამაშო რამ გეგონებათ. თქვენ წაკითხული გექნებათ, რომ ლოდეინოპოლის მაზრაში, როცა ლიბკნეხტის მოკვლა გაიგეს, აიღეს და რამდენიმე ადგილობრივი ბურჟუა მოჰკლეს. ლიბკნეხტის მოკვლას წითელი ტერორით უნდა უპასუხონო. განა ეს სისულელე არაა? **ზოგიერთ მაზრებში ალმას. კომიტეტებმა ეკლესიებზე ზარების რეკა აკრძალეს. ის კომიტეტები, რომლებმაც ზარების რეკა აკრძალეს მოქმედებდენ ისე, როგორც ოსმალეთის რეაქციის ველურები, რომლებმაც ერთ დროს ბოლგარელებს ზარის რეკა აუკრძალეს. ან და იყო შემთხვევები, როცა ეკლესია დახურეს და შიგ კინომატოგრაფები გახსნეს. განა თქვენ არ წაგიკითხავთ ელისავეტოგრადის გაზეთებში, რომ ადგილობრივი საბჭომ ძალა-უფლების ხელში აღების მეორე დღესვე მთელი ოთხ-ოთხნახევარი საათის განმავლობაში არჩევდა საკითხს: სცემონ „ჟიდებს“, თუ არა. არც მეტი არც ნაკლები, ილაპარაკა ჩვიდმეტმა ორატორმა და ბოლოს ხმის უმეტესობით დაადგინეს; უკეთესია ჯერ ნუ ვცემთ, დავიცადოთო**“. (გვერ. 190).

იგივე ზინოვიევი მეორე ადგილას ამბობს: „ბინების მოწყობის საქმეში მეტად მცირე რამ გაკეთდა. ბევრმა იცით რომ პროვინციაში და ხშირათ მსხვილ ცენტრებშიაც მთელი საბინაო რეფორმა იმაში გამოიხატა, რომ ბურჟუაზიას წაართვეს სახლები, მარა მისცეს მუშებს კი არა, არამედ საბჭოს ჩინოვნიკებს. ხშირათ კიდევ აძლევენ საბჭოს ბიუროკრატების ბებიას, სიდედრს და ნათლიას. როცა ერთ საგუბერნიო ქალაქში მე მითხრეს ბუმბულების ნაციონალიზაცია მოახდინესო—მე ვთქვი: რა უყოთ, შეიძლება ეს დიდი ნაბიჯი იყოს წინ გადადგმული ნაციონალი-

# დღეს

**მოკავშირე სახელმწიფოების წინადადება მისცეს საბჭოთა რუსეთს, რათა მან ზავი ჩამოაგდოს პოლონეთთან, [illegible] მოკავშირეები სრულ დახმარებას გაუწევენ პოლონეთს.**

**[illegible]**

[illegible]

## ჩვენი სასურსათო პოლიტიკა

[illegible]

## საბჭოთა რუსეთში

(განგრძობა)

[illegible]

და მენშევიკებმა ჩაიდინეს ის, რასაც სჩადიან ჯორჯისა და კლემანსოს მატყუარა გაზეთები, როდესაც ისინი თავისებურად ამზადებენ ევროპის საზოგადოებრივ აზრს. და როდესაც მენშევიკები ლაპარაკობენ სოფელში მუშაობის შესახებ, ჩვენ ვიცით, როგორი სუნიც უდის მათ მუშაობას. დღეს ლაპარაკის დრო არ არის...

**ზელენსკი.** (მუშა). მენშევიკები აძაგებენ მუშათა მთავრობას. მე მუშა ვარ. სხვა მთავრობა მე არ მინდა. თუ დღეს მშიერი ვარ, ეს ჩემ მიერ არჩეულ მთავრობის ბრალი არ არის; ეს იმათი ბრალია, ვინც ხელს უშლიან მას დაიწყოს მშვიდობიანი მუშაობა. იმათ შორის აგიტაციის გაწევა, ვისაც პური ბელლებში ვერ ჩაუტევია, უმიზნოა; მათ ყელში ხელი უნდა ვსტაცოთ. მენშევიკები დიდი ხანი არ არის, რაც ასე ტკბილათ ლაპარაკობენ.

**ტეპლიცკი** (ბუნდოელი კომუნისტი). მენშევიკები ამბობენ, რომ არ არის სწორათ დაყენებული სასურსათო საკითხი. ეს არ არის მართალი: სწორეთ დღეს არის სასურსათო საკითხი სწორათ დაყენებული,—ბურჟუაზიასთან არ ღირს ლაპარაკი! სოფლის „კულაკს" ზღაპრებით ვერ დაარწმუნებ, მასთან ლაპარაკი მხოლოდ ვინტოვკით შეიძლება.

**როჟკოვსკი** (მენშევიკი). იმეორებს მის წინ მოლაპარაკეთა სიტყვებს და ცდილობს გაფანტოს შთაბეჭდილება, რომელიც მუშების სიტყვებმა დასტოვა მსმენელებზე.

**ყაზარინი.** (მუშა) მენშევიკები ამბობენ, რომ სოფელში არ უნდა წავიდეთ იარაღითო. რატომ ეშინიათ მათ იარაღის? ღარიბების წინააღმდეგ ხომ არ არის მიმართული ეს იარაღი, არამედ —მიმართულია „კულაკების" წინააღმდეგ. სოფელში უნდა წავიდეთ ჩვენ, სანამ საბჭოთა მთავრობა მოგვიწოდებდეს. კი არ უნდა დავუჩოქოთ „კულაკებს", არამედ უნდა გადაჰრით მოვთხოვოთ პური!

**შარიკოვი** (მუშა). ჩვენ უნდა დავქსაქსოთ სოფელი, დავანაწილოთ გლეხობა მდიდრებათ და ღარიბებათ. არა არის მართალი, თითქოს საბჭოთა მთავრობა ყელში უჭერს ხელს და ეუბნება: „მომეცი პური"-ო. აშკარაა, როდესაც „კულაკი" ფარავს პურს, ჩვენ მას არ ვაკობთ.

**პისმენნი** (უპარტიო მუშა). თუ თქვენ ბოტაენიკები არა ხართ, უნდა წახვიდეთ სოფელში და დაეხმაროთ საბჭოთა მთავრობას პურის მოგროვებაში. არ მოუჯეროთ მენშევიკებს.

უკანასკნელ სიტყვას ამბობს როჟკოვი (მენშევიკების წარმომადგენელი). ის კომუნისტების ლოზუნგების ქვეშ ძველი შეცდომების აღიარებით და ბოდიშის მოხდით ცდილობს გაატაროს თავისი მენშევიკური ბაგაჟი. კონფერენცია მაინც ცივად შეხვდა მის სიტყვას.

**კასსიორი.** (კომ. პ. ცეკას წარმ.) მე არ ვფიქრობ აქ პოლემიკა ვაწარმოო მენშევიკებთან, მათი სიტყვები ჩვენ დიდი ხანია გვესმის, კიდეც მოგვწყინდა ეს სიტყვები... დღეს, როდესაც ჩვენს წინ დგას საკითხი, რათა სოფელში ხარკოვიდან გაიგზავნოს 700 საუკეთესო მუშა, რომ გავაღვიძოთ იგი და შევაგნებინოთ, რომ ევროპის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში მან უნდა გამოიღოს პური, ამ დროს არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, აკეთონ თუ არა გლეხებმა ეს საქმე. უნდა შევაკავშიროთ გლეხობა. ჩვენ იარაღით მივდივართ სოფელში, რათა ვაიძულოთ „კულაკები".

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

13 ივლისი.

### ბალშევიკების ცნობები.

#### სამხედრო ცნობა.

**მოსკოვი** 13 ივლ. ჩვენმა ნაწილებმა სადგური მოლოდეჩნო დაიკავეს. 11 ივლისს, დილით ჩვენ ქალაქი მინსკი ავიღეთ. სლუცკის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რკინის გზის ხაზი სად. პუხოვიჩისა და ბობრუსკის შორის. ამასთანავე ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ეშელონი შეკეთებულ მატარებლებით. დუბნო-როვნოს რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა, რომელიც უკან დახეულ მტერს სდევნის, დაბა ოლიკა აიღო. ტარნოპოლის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა სადგური ჩორნი ოსტროვი დაიკავეს, ხელთ ვიგდეთ ჯავშნიანი მატარებელი ორი ზარბაზნით და ტყვიებით [illegible] ვაგონი ვინტოვკებითა და ტყვიის მფრქვეველებით.

#### ლატვია და საბჭოთა რუსეთი.

ლატვიის დელეგაციის თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა საზავო მოლაპარაკების მოსკოვიდან რიგაში გადატანის შესახებ. ამას ასაბუთებს მით, რომ ბევრი საკითხების შესახებ შესაძლებელი იქნება მთავრობასთან და დამფ. კრებასთან კავშირის დაჭერა. რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარე იოფფე დასთანხმდა ამ წინადადებაზე იმ პირობით, თუ საზავო მოლაპარაკება მოსკოვში დასრულდება.

### ფრანგული ცნობები.

#### ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

ლონდონიდან იუწყებიან ინგლისელების მიერ ბათომის ევაკუაციის შესახებ. ქალაქი დაიკავეს ქართველებმა.

#### ხალხთა ლიგა.

ხალხთა ლიგის პირველი საერთო კრება შესდგება 15 ნოემბერს.

#### ინგლისი და რუსეთი.

[illegible]მტკიცდება, რომ საბჭოთა მთავრობა თანხმაა დაიწყოს მოლაპარაკება ინგლისთან ლოიდ ჯორჯის მიერ წამოყენებულ პირობების თანახმად. პრესა იუწყება, რომ ინგლისის პრემიერმა [illegible]რობათ წარუდგინა დროებითი ზავი საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის, თუ პოლონეთი არ დათანხმდება ინგლისი მოუსპობს მას ყოველგვარ დახმარებას.

#### ოსმალეთი და ანტანტა.

„დეილი მეილის" ცნობით ოტომანის მთავრობას დაემუქრა ანტანტა: კონსტანტინეპოლი ოსმალეთის კონტროლის ხელქვეით აღარ იქნება და მას ინტერნაციონალიზაციას მოუხდენენ, თუ ოსმალეთი ხელს არ მოაწერს ხელშეკრულებას და ქემალისტები არ შესწყვეტენ ოპერაციებს.

#### საზავო წინადადება.

საფრანგეთის პრესის თანახმად მოკავშირეებმა წინადადება მისცეს საბჭოთა მთავრობას მოამზადოს დროებითი შერიგება პოლონელებთან პოლონელების უკან დახევის პირობით, თუ საბჭოთა მთავრობა ამ წინადადებას უარყოფს და პოლონელებს თავის საზღვარში შეუტევს, მოკავშირეები სრულ დახმარებას გაუწევენ პოლონელებს. პოლონელების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ შემდეგი განცხადება გააკეთა, რომელიც—„ფიგარო"-ში გამოქვეყნდა: პოლონეთი მზათ არის დათმობაზე, ის უარს ამბობს ვილნაზე და თანახმაა, რომ საკითხი აღმოსავლეთ გალიციის შესახებ, რომლის მოწესრიგებას ელჩთა საბჭო პოლონეთის სასარგებლოთ ცდილობს, კვლავ განიხილონ. და ბოლოს ის მზათ არის თავისი ჯარი უკან დასწიოს ბერეზინის ფრონტიდან 200 კილომეტრზე. თვით მარშალ ფოშმა ურჩია პოლონეთს დაეხია უკან. ეს დათმობა ძლიერ დიდია, რომ ბალშევიკებმა, რომელთაც არა ნაკლებ პოლონელებისა ესაჭირებათ ზავი, იგი არ მიიღონ. ისე მე ვგრძნობ, დაათავა გრაბსკიმ, რომ დროებითი ზავი მოკლე დროში დაიდება.

#### პოლონეთის ცნობა.

ბალშევიკების კავალერიამ, რომელსაც ქვეითი ჯარი ეხმარებოდა დაიჭირა რკინის გზა სვენციასთან მდ. პლიხამდე. მკაცრი ბრძოლა გრძელდება. პოლესიესთან ბალშევიკების შეტევა მოვიგერიეთ. ბალშევიკების 8 კავალერიის დანაკლისმა აიძულა ისინი დაეხიათ ჩრდილოეთისაკენ.

# საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

**პარიზი.** პალატამ დაამტკიცა გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი. აღმოსავლეთის ოპერაციებისათვის 500 მილიონი ფრანკი არის გადადებული. მილიერანმა განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს სირიაში უფრო დიპლომატიური პოლიტიკა აწარმოოს, ვიდრე სამხედრო. საფრანგეთს არ შეუძლია სირიის ღვთის ანაბარათ დატოვება. საფრანგეთი მიდის სირიაში არა როგორც მტერი, არამედ როგორც ოსმალეთის თანამშრომელი. კილიკიაში საფრანგეთი დიდ ეკონომიურ სიმდიდრეს დაამუშავებს.

**ბათომი.** (საკ. კორ.) დანამდვილებითი ცნობებია მიღებული, რომ ლაზინის, ბატალპაშინის და მაიკოპის რაიონებში გლეხების ნაწილობრივი აჯანყებანი ხდება. ყაზახები არ იძლევიან ხორბლის გატანის უფლებას, ამის გამო ბალშევიკები ამ ადგილებში დამსჯელ რაზმებს გზავნიან.

**ჟენევა.** გაზ. „დე-ლოზანა" აღნიშნავს, მიუხედავათ ყოველივე ზომებისა, ბალშევიკებმა ვერ შესძლეს შვეიცარიის მუშებში თავის აგიტაციის გავრცელება შვეიცარიელი მუშა არც სულელია და არც ქურდი. შვეიცარიის მუშა იმდენად კი არის შეგნებული, რომ იცოდეს, თუ რა მოაქვს მისთვის ბალშევიკების „პროლეტარიატის დიქტატურას". მაგრამ ლენინის და ტროცკის დამცველებს ეს არ შეაჩერებს. თუ სინამდვილეში უკმაყოფილება არ არსებობს, ისინი პროვოკაციით შეეცდებიან დასთესონ იგი.

**ლონდონი.** ლონდონში დაბრუნებისას ლოიდ-ჯორჯმა კაბინეტის წევრებს მოხსენება გაუკეთა და გააცნო მოკავშირეთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებანი. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა მოკავშირეთა შორის არსებულ სოლიდარობას და განაცხადა, რომ კონფერენციამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება გერმანიის უეჭველ განიარაღების შესახებ და რომ მოკავშირენი მომავალში არავითარ დათმობაზე აღარ წავლენ. მოკავშირენი გერმანიას ახალი ნაწილების შედგენის უფლებას აღარ მისცემენ. ოსმალეთის შესახებ ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ მანდატი კონფერენციამ საბერძნეთს ჩააბარა, რომელსაც ინგლისი დაეხმარებაო. ამ გადაწყვეტილებას საფრანგეთიც დაეთანხმაო. ქემალისტების მოძრაობის საშიშროება გადიდებულია. დასასრულ ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ ის კონფერენციის მუშაობით კმაყოფილია.

**კონსტანტინოპოლი.** გაზეთი „სტამბოლი" იუწყება: გენ. ვრანგელმა მელიტოპოლში შემდეგი ბრძანება გამოსცა: 2 თვის წინეთ მე მომიწვიეს თანამდებობაზე. მოვიწვიე რა სამშობლოს ყველა კეთილ-სინდისიერი შვილი, მე შევსძელი ყირიმი გადამექცია მიუდგომელ სიმაგრეთ, სადაც გადახალისებულმა და მოღონიერებულმა რუსის ჯარმა შესძლო გაძლება მოპირდაპირის სასტიკი შეტევისა. მოწინააღმდეგემ შეატყორა, რომ ჩვენი აღება ძალით შეუძლებელი იყო, განიზრახა, როგორც ჯარის, ისე მშვიდობიან მცხოვრებლების მხრჩოლავ გაზებით ამოჟლეტა. მაგრამ ამ ჯოჯოხეთური აზრის განხორციელება მტერმა ვერ შესძლო, ეხლა ჩვენ გამოვედით ჩვენი მდგომარეობიდან გამარჯვებულნი; მე-13 წითელი არმია ჩვენ გავანადგურეთ. როგორც მთავარსარდალი და უბედური რუსეთის შვილი, სალამს გიძღვნით თქვენ, რუსის ჯარისკაცებს და კეთილ-სინდისიერ ძალებს, რომლებმაც ჩემ მძიმე მუშაობაში დიდი დახმარება აღმომიჩინეთ.

**ერევანი.** ბალშევიკები ყაზახის მაზრაში დიდ ძალებს აგროვებენ სომხეთზე შესატევათ. მიღებულ ცნობებით სამხედრო ნაწილებში არიან აგრეთვე სომხები, რომლებიც ყაზახის მაზრაში უკანასკნელი შეტევის დროს ტყვეთ იქნენ წაყვანილი. „არაჩი" იუწყება: შეტევა ყაზახის მაზრის წინააღმდეგ მოხდა ერთდროულათ ზანგეზურის მაზრაზე შეტევასთან. სანაპირო რაიონებში სომხებზე ძალადობას ხმარობენ.

**ერევანი.** სომხეთის წარმომადგენელმა ცნობები მიიღო დარალაგეზში სომხეთის ჯარების გამარჯვების შესახებ. დარალაგეზის საგანგებო კომისარი იუწყება, რომ სომხეთის ჯარებმა დაიკავეს თათართა შემდეგი სოფლები: ჯუნი, ზემო და ქვემო ახტა, არინჯი, აიამზალი, ყარაბიანი, კეოლაგი, ვერდეზივაჩი. ნახიჩევანის თათრები შეშფოთებული არიან სომხების წინსვლის გამო.

**ერევანი.** მიღებულია ცნობები, რომ ოლთისის ოლქში აგროვებენ დიდ ძალებს სომხეთზე შესატევათ.

# სხვა და სხვა სახელმწიფოების წესწყობილება

(იხ. „ერთ." №№ 151, 152, 153)

### იაპონია.

იაპონია კონსტიტუციური მონარქიაა. მისი ნიშანდობლივი თვისებაა უკიდურესი ცენტრალიზმი. იაპონიის ახალი კონსტიტუცია გამოქვეყნდა 1889 წელს.

იაპონიაში **პარლამენტი არის, მაგრამ პარლამენტარიზმი არ არის.** მთავრობა, მინისტრები პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ იმპერატორის წინაშე, მათ ის ნიშნავს თავის სურვილისამებრ. არავითარი პარლამენტარული პასუხისმგებლობა არაა. იაპონიის კონსტიტუცია სულ ცოტა ცვლილებით გადმოწერილია პრუსიის ძველი მონარქიული კონსტიტუციიდან.

იაპონიის იმპერატორი უპასუხისმგებლოა. საკანონმდებლო პალატების მოწვევა, გადადება თუ გამოშვება მის უფლებაში შედის.

მას შეუძლია გამოსცეს კანონის ძალის მქონე განკარგულება, რომელიც შემდეგ უნდა მოიწვიოს პარლამენტმა. იგი აღძრავს საკანონმდებლო წინადადებას, ამტკიცებს და უარყოფს კანონებს. მხოლოდ იმპერატორს აქვს ნება აღძრას კონსტიტუციის გადაშინჯვის წინადადება. მის ხელშია შეწყნარების უფლება, ომის გამოცხადება, ზავის ჩამოგდება, ხელშეკრულებათა დადება, სამხედრო ძალების ბრძანებლობა და სხ.

მოქალაქის თავისუფლებანი აღიარებულია, მაგრამ იმდენად შეზღუდულშეკვეცილია, რომ სრულს უფლებასა და თავისუფლებაზე ლაპარაკი საძნელოა. ეს აიხსნება წესწყობილების მონარქიული ხასიათით.

ორი საკანონმდებლო პალატაა, ერთი ქვედა—**დეპუტატთა** და ზედა—**პერთა** პალატა. მათი საერთო სახელია—**საიმპერატორო საბჭო.**

არჩევნები პირდაპირია. არის ქონებრივი ცენზი. საარჩევნო ასაკია 25 წელიწადი. ამრჩეველი ერთს წელზე ნაკლებ მაინც არ უნდა ცხოვრობდეს იმ ადგილას, სადაც ხმას აძლევს. 130,000 მცხოვრებზე მოსდის ერთი დეპუტატი. არჩეული შეიძლება იქნეს ყოველი იაპონელი მოქალაქე, რომელსაც 30 წელი მაინც შესრულებია.

პერთა პალატაში შედიან მემკვიდრეობითი უფლებით საიმპერატორო გვარეულობის წევრები 21 წლიდან, ხოლო პრინცები და მარკიზები 25 წლიდან. მათ გარდა იქ შედიან ისინი ვინც მუდმივად დანიშნავს იმპერატორი სახელმწიფოს განსაკუთრებული სამსახურისა და ღვაწლისათვის. ასეთებს 30 წელი უნდა ჰქონდესთ შესრულებული. შემდეგ 7 წლით არჩეული თავადაზნაურობის წარმომადგენელნი, რომელთაც შესრულებიათ 25 წელი. კიდევ მეორე ჯგუფი 7 წლის ვადით არჩეულია (30 წელი), რომელთაც იმპერატორი ამტკიცებს და რომელნიც წარმოადგენენ ვაჭრობა-მრეწველობას.

დეპუტატებს გასამრჯელო ეძლევათ. აღიარებულია მათი ხელშეუხებლობა: წარმოთქმულ სიტყვისა და კენჭის ყრისთვის არ დაისჯებიან. მათი დაკავება პარლამენტის ნებადაურთველათ არ შეიძლება.

მინისტრები, როგორც ითქვა, პასუხს აგებენ იმპერატორის წინაშე. სახელმწიფო მინისტრებს და მთავრობის წარმომადგენელთ ნება აქვთ პარლამენტში შედიოდენ და მონაწილეობას ღებულობდენ კამათსა და მუშაობაში.

მართლმსაჯულება სწარმოებს იმპერატორის სახელით და კანონის ძალით.

მხოლოდ იმპერატორს შეუძლიან კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტი შეიტანოს, როგორც მოვიხსენიეთ.

მისი განხილვა შესაძლებელია მხოლოდ თვითეულ პალატის წევრთა ორი მესამედის თანადასწრებით. თვითონ გადასინჯვა, ანუ ცვლილება მიღებულ უნდა იქნეს ორივე პალატის ორი მესამედის უმრავლესობით.

ადგილობრივი თვითმართველობა იაპონიაში დიდი ხანია გახდა მმართველი წრეების და ხალხის დაწინაურებულ ელემენტების განსაკუთრებულ ყურადღების ღირსად. საკანონმდებლო პალატების შექმნამდე შემუშავდა კანონები არჩეულ მუნიციპალურ და პროვინციალურ კრებების მოსაწვევად.

ეს ადგილობრივი წარმომადგენლობითი დაწესებულებანი დაედვა საფუძვლად მთელი ხალხის ფართო წრეების პოლიტიკურ მომწიფებას და სახელმწიფოებრივ მართვაგამგეობაში მონაწილეობას. მიუხედავათ ამისა თვითმართველობა განუვითარებელია, ან მეტად შეზღუდულია ცენტრალიზმით. როგორც ცენტრალური საკანონმდებლო ორგანოები ისე ადგილობრივი მმართველობა მოითხოვს დიდს გარდაქმნა-გადახალისებას.

იაპონია—აზიის უძლიერესი სახელმწიფო—ევროპა-ამერიკის ძლიერ სახელმწიფოებსაც დიდათ აშფოთებს, იმდენათ იზრდება მისი ძალა და გავლენა საერთაშორისო ურთიერთობაში.

იმპერატორული რეჟიმი აფერხებს ხალხის შინაურ პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას. შედარებით სუსტია დემოკრატიული მიმდინარეობა და მუშური პარტია.

ნ- საქარელი.

(შემდეგი იქნება)

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს სრულ 6 საათზე, დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის საგანგებო სხდომა.**

◆ **დღეს,** საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა. წევრები აუცილებლათ დანიშნულ დროზე უნდა გამოცხადდენ.

◆ **შავი ქვის დამუშავება და გაზიდვა.** 1918 წელში დაუმუშავებიათ 1,583,300 ფუთი, 1919 წ. 3.345,000 ფუთი; 1918 წ. გაუტანიათ: ზღვით 1,983,388 ფუთი, რკინის გზით 2,095,250 ფუთი; მაღაროებში მუშაობდა 220 კაცი. 1919 წ. გაუტანიათ რკ. გზით 2,025,895 ფ. ზღვით 332,000 ფ. სულ მუშაობდა 250 კაცი. მიმდინარე წლის ოთხი თვის განმავლობაში გატანილია რკ. გზით 1,801750 ფ. და ზღვით უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ე. ი. მარტსა და აპრილში 1,060, 217 ფუთი.

◆ **ფოილოს ხიდის შემოწმება.** გზათა ექსპლოატაციის უფროსის განკარგულებით თფილისსა და სალოღლის შუა დანიშნულია მოსამსახურეთა მატარებელი ტეხნიკურ კომისიისათვის, რომელიც გზათა სამმართველოს ინჟენრებისაგან შესდგება ფოილოს ხიდის შესამოწმებლად.

◆ **ინგლისის სარდლობის ვალი.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ ბათომიდან, ინგლისის სარდლობიდან, ფოსტა-ტელეგრაფის ოპერაციების ვალის ანგარიშში 2,348,564 მანეთი მიიღო.

◆ **დასახიჩრებულ ჯარისკაცთა საჭიროებისათვის.** რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ სამხედრო-სამინისტროს განკარგულებაში გადასდო 200.000 მანეთი დაჭრილ და დაავადმყოფებულ ჯარისკაცთა და გვარდიელთა საჭიროებისათვის. ამ ჯამიდან ნაწილს გადასდებენ აბასთუმანისა და ბორჯომის სანატორიუმებისათვის და ახტალისა და წყალტუბოს საავადმყოფოებისთვის.

◆ **წითელი ჯვარის მოქმედება. სამედიცინო დახმარება აჭარლებს.** საქართველოს წითელი ჯვარი აჭარლებისათვის სოფ. ქედაში (ზემო აჭარა) ხსნის ლაზარეთს 100 კაცისათვის.

◆ **ნატანების საბაჟოს გაუქმების გამო.** ექსპლოატაციის უფროსმა განკარგულება გასცა—მიღებულ იქნას ყოველგვარი ბარგი ბათომში გასაგზავნათ გასატანი ნებართვის წარუდგენლათ.

◆ **რუსულ-სლავიანურ საზოგადოების საფერშლო სკოლაში** კურსი დაამთავრეს შემდეგმა პირებმა: აგლაძე, ბარძიმოვი, ბერი, ვახვიანსკაია, გაბედავა, გოლუბოვა, გროზდოვა, დვარკოვსკი, ჯაფარიძე, კაჭარავა, კედროვი, მირზოევი, ნიკოლაიშვილი, ორემბოვსკაია, სართანია, ფილონოვი, შაფერი, ედელსონი და შველი.

◆ **პროფეს. კავშირების საბჭოების** სეკრეტარიატმა დაადგინა წინადადება მისცეს სატარიფო პალატის მუშათა სექციას წინადადება შეიტანოს პალატაში მუშათა ხელფასისა და მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების შესახებ.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ** საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებების 1920 წლის ოპერაციებიდან შემოსული ფულის ანგარიში უკვე დაასრულა. ფოსტების ოპერაციებიდან შემოსულია—1,853,000 მან., დეპეშათა ოპერაციებიდან—3.582,000 მან., ტელეფონის—548,000 მან., მიმდინარე წლის მაისში შედარებით შარშანდელ მაისთან შემოვიდა: ფოსტის ოპერაციებიდან 1,745,000 მან. მეტი, დეპეშათა 3,113.000 მან. მეტი და ტელეფონის ოპერაციიდან 498,000 მან. მეტი.

◆ **დუშეთის მაზრის ერობის** ხმოსანთა ყრილობამ ერობის გამგეობის წევრებათ აირჩია პარმენ თოთიბაძე, ნოე ლეჟავა და ილიკო ტყემალაძე. მათ სთხოვენ ახლავე გაემგზავრონ დუშეთს.

◆ **მასწავლებელთა საყურადღებოდ.** სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის ბიურო აცხადებს იმ მასწავლებელთა საყურადღებოთ, რომელთაც მანგლისში სააგარაკო ბინა დაეთმო, რომ თუ 15 ივლისამდე არ დაიჭერენ ოთახებს ან არ აცნობებენ ბიუროს, რომ ისარგებლებენ მიცემული ბინებით, იმ შემთხვევაში მათი ბინები 17 ივლისიდან გადაეცემა სხვებს.

◆ **ლექციები საბჭოთა რუსეთის შესახებ.** რუსეთში ნამყოფმა საქართველოს ელჩმა—გ. ი. ხუნდაძემ გადასწყვიტა წაიკითხოს პროვინციაში ლექციები შემდეგ თემაზე: „საბჭოთა მთავრობა და მისი მოქმედება სხვადასხვა დარგებში". გ. ხუნდაძე ფიქრობს ლექციების წაკითხვას ფოთში, სენაკში, ზუგდიდში, სამტრედიაში, კულაშში, დიდჯიხაიშში, ქუთაისში, ზესტაფონში, ხაშურში. თფილისში დაბრუნების შემდეგ კი ფიქრობს თელავსა და სიღნაღში წასვლას.

### კრებები.

პარასკევს, 16 ივლისს, საღამოს 6 ს. ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქალაქის თვითმართველობის და ქალაქთა კავშირის წარმოებებში და დაწესებულებებში მომუშავე საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო კითხვები. კრებაზე შესვლა შეიძლება მხოლოდ საწევრო ბარათებით.

— საერთო კრება თფილისის განყ.

[illegible]

## დაწესებულებათა გაეროვნების საკითხი

[illegible]

აქაც ისე დაიწყება საქმე, როგორც ეს საზოგადოთ „შემოღებულია“, რა თქმა უნდა, სჯობს ძველი წესის დატოვება...

ასეთი მდგომარეობით მეტად უხერხული პირობები იქმნება: ჩვენი ხალხი გრძნობს, რომ ვერ არის თითონ თავის თავის პატრონი, თუმცა არავითარი საბუთი არ არის იმისი, რომ ის ასე ფიქრობდეს...

ჩვენც, „ერთობა“-ში და საერთოთ ქართულ გაზეთებში მომუშავენიც ვგრძნობთ დიდ უხერხულობას. კიდევ მეტი. შეურაცხყოფილნი ვართ. მეტი და უაზრო მუშაობა გვიხდება იმიტომ, რომ ჩვენი სახელმწიფო ენა ბევრ სახელმწიფო დაწესებულებებში გერად არის მიჩნეული...

ავიღოთ ჩვენი დეპეშათა სააგენტო. ორი განყოფილებისაგან შესდგება ის. რუსულ განყოფილებას უპირატესობა აქვს მინიჭებული, ქართული—მეორე რიგზეა დაყენებული.

ფრანგულ, ინგლისურ თუ ნემეცურ ენებზე მიღებულ რადიოს ჯერ რუსულად სთარგმნიან, რუსულ გაზეთებს უგზავნიან, შემდეგ, მოგვიანებით, რუსულიდან—ქართულათ და ჩვენ გვაწვდიან.

სახელმწიფო თუ საზოგადო დაწესებულებებში უმეტეს შემთხვევაში ქართულად მიღებულ ცნობებს, ჯერ რუსულად ამზადებენ, რუსულ გაზეთებს მიართმევენ, შემდეგ, ქართულად სთარგმნიან და ქართულ გაზეთებს წამოგვიგდებენ.

დილის 11—12 საათზე სააგენტოს **რუსულად** ყველა ცნობები მზად აქვს, რომელთა **ქართულად** მიღება შესაძლებელია მხოლოდ ნაშუადღევის 3—4 საათზე!..

სარგებლობენ ასეთი პრივილეგიით რუსული გაზეთები, რა თქმა უნდა, ქართული გაზეთების ხარჯზე...

არც ცნობებს იძლევა სააგენტო ხეირიანს: გრძელი ამბები, განმეორება, უხეირო სტილი და უხეირო ენა ჩვეულებრივი მოვლენაა ორივე ენაზე, ქართულზე ხომ განსაკუთრებით.

ცნობების შემოკლებით, მისი ხეირიანი რედაქციით არც იმდენათ იწუხებენ თავს არც მისი რედაქტორები, არც მთარგმნელ-თანამშრომელნი, —გზავნიან უთავბოლოდ **ბევრს—**მორჩა და გათავდა!..

იხარჯება **დიდძალი** ფული, ნაყოფი კი გვრჩება **მცირე...**

როდემდის უნდა გაგრძელდეს აგრე?

ჩვენ ასე ვაყენებთ საკითხს: სააგენტოს იმ სახით არსებობა, როგორც ის დღეს არსებობს, უსარგებლოა. უნდა მოისპოს სრულიად სააგენტოს რუსული განყოფილება. ის რუსული გაზეთი, რომელიც ემსახურება საქართველოს, შესძლებს ქართული ბიულეტენით სარგებლობას, ის გაზეთი კი, რომელიც ქუჩურ ჭორებს ავრცელებს, ჩვენ არ უნდა გვაინტერესებდეს: თუ საძნელო იქნება ამგვარი „პრესისთვის“ ჩვენი ცხოვრების გაცნობა, ამით ბევრს არ დავკარგავთ.

შიგნით, საქართველოში, ჩვენს ქალაქებში, ჩვენს დაბებში, ჩვენს სოფლებში საჭიროა მხოლოდ ქართულ ენაზე მიწოდებული ცნობები.

უცხო ენაზე ინფორმაცია საქართველოს შესახებ მივაწოდოთ მხოლოდ უცხო ქვეყნებს, იქაურ გაზეთებს.

საერთოდ კი—დაწესებულებებში სასტიკი ნაციონალიზაციის გატარება აი, რა უნდა დავაყენოთ დღიურ წესრიგში...

გ. მ.

## ბათომი

ოლქის საგანგებო კომისარმა წინადადება მისცა მილიციის უფროსს და ადგილობრივ სასამართლოებს არ აასრულონ ინგლისის სარდლობასთან არსებულ საბინაო სასამართლოს დადგენილებები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მიმართონ კომისარს, ან კომისარის თანაშემწეს გენ მდივანს.

— მომარაგების მინისტრის განკარგულებით თფილისიდან ბათომში გაიგზავნა 5 ვაგონი ფქვილი.

— საბაჟოს გაუქმების გამო დაუბრკოლებლივ შემოდის სურსათი, რამაც გამოიწვია ფასების დაცემა. საერთო ფასი 50 პროცენტით დაეცა. ძლიერ ბევრი შემოდის შინაური ფრინველი, რომელიც შედარებით ისეთ ფასებში იყიდება, რაც დიდი ხანია არ უნახავს ბათომს.

— მთავრობის განკარგულებით დააპატიმრეს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი უსტინოვი და პროკურორის ყოფილი ამხანაგი ვიშნიაკოვი.

— საგანგებო კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი ინახულეს და ბათომის გადაცემა მოულოცეს ინგლისის, უკრაინის და სპარსეთის კონსულებმა.

— განსაკუთრებულმა კომისარმა წინადადება მისცა ყველა სავაჭრო, კერძო და საზოგადო დაწესებულებას ორი კვირის განმავლობაში შესცვალონ მაღაზიებისა და დაწესებულებათა წარწერანი სახელმწიფო ენაზე. ამასთანავე ნება დართულია წარწერა უცხო ენებზედაც.

— ბათომის ოლქის სამედიცინო ნაწილის ინსპექტორათ დანიშნულია ექიმი ელიავა, რომელიც ოლქში საერობო თვითმართველობის შემოღებამდე და ცენტრალურ ორგანოს დაწესებამდე უშუალოდ ემორჩილება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო-სასანიტარო განყოფილებას. საექიმო ინსპექტორს ევალება მოწესრიგება და ხელმძღვანელობა ოლქში ყოველგვარ სამკურნალო საქმისა.

ექ. ელიავას მინდობილი აქვს გამოიმუშაოს წესდება ქსენონებისა, საფერშლო პუნქტებისა და აფთიაქების გახსნის შესახებ. პროექტი უნდა დამუშავდეს 10 დღის განმავლობაში და წარედგინოს საგანგებო კომისარს დასამტკიცებლათ. მოწვეულია სპეციალური კომისია 5 პირისაგან, მათ რიცხვში საქ. წითელი ჯვრის წარმომადგენელიც.

— ქალაქის გამგეობაში პროფ. კავშირების საბჭოთა შეერთებული ყრილობა მოხდა. კრებას დაესწრო აგრეთვე შრომის სამინისტროს წარმომადგენელი ელბაქიანი. თანამედროვე მომენტზე მოხსენება გააკეთა აიოლომ. მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: ბათომის პროფ. კავშირთა საბჭოს პირველი სხდომა ბათომიდან ინგლისის საოკუპაციო ჯარის წასვლის შემდეგ სალამს უძღვნის საქართველოს პროლეტარიატსა და გლეხკაცობას, რომელიც შეუდრეკელი ბრძოლით ცდილობდა ევროპის იმპერიალისტების ხელიდან ბათომის განთავისუფლებასა და მის საქართველოსთან შეერთებას, ამასთანავე პროფ. კავშირის საბჭო მისალმება რუსეთისა და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატსა და დემოკრატიის და მადლობას უძღვნის იმ დახმარებისთვის, რომელიც მათ გაუწიეს ქართველ ხალხს ბათომის საქართველოს გადმოსაცემად ამ მძიმე ბრძოლაში“.

## აჭარლების დელეგაცია ახალციხეში

**ახალციხე** (დეპეშა). ივლისის რვას, ღამის 12 საათზე, ჩამოვიდა ზემო-აჭარის დელეგაცია, 50 წარმომადგენელისაგან შემდგარი.

ცხრას, დილის თერთმეტ საათზე, დელეგაცია მრავალი ხალხის დასწრებით მივიღეთ მე და ახალციხის ჯარების სარდალმა-გენერალმა ვარდენ წულუკიძემ.

დელეგაციამ ზემო აჭარის დავალებით საქვეყნოთ აღიარა, რომ აჭარა შეცდომაში შეიყვანეს პროვაკატორებმა და მოყიდულმა აგენტებმა.

სცნობენ რა აჭარლები თავის შეცდომას, თხოულობენ პატიებას.

დღეიდან ფიცით აღუთქვამენ საქართველოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას ერთგულებას და საერთო სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის თავის დადებას.

დელეგაცია იწვევს ჩვენს ჯარებს აჭარაში და თავდებობს, რომ მშვიდობით და დაუბრკოლებლათ შევლენ. ხალხი მათ პურ-მარილით დაუხვდება და აღტაცებით მიიღებს.

მე დელეგაციის სიტყვით მივმართე და დავუსურათე შესრულებული დიდ მნიშვნელოვანი ისტორიული აქტის სიდიადე. შემდეგ განვუმარტე მთავრობისა და მთავარ სარდლის მოწოდება აჭარლებისადმი, ვრცლად შევეხე მოკავშირეთა გადაწყვეტილებას ბათომისა და მისი ოლქის გადმოცემის შესახებ, მივუთითე აჭარის ხალხს დღეიდან მისი მოვალეობის შესრულებაზე და ვურჩიე დაუბრუნდეს მყუდრო ცხოვრებას და ხელი მიჰყოს ჩვეულებრივ მუშაობას.

დელეგაცია დიდათ კმაყოფილი დარჩა.

დასასრულ დელეგაციამ ითხოვა შემდეგი: 1) აჭარაში ჯარის შეყვანა მხოლოდ გზატკეცილით. 2) გურიის საძოვრებზე საქონლის გარეკის უფლება ძველი ჩვეულებისამებრ და 3) დატუსაღებული აჭარლების განთავისუფლება ოზურგეთისა და ახალციხის საპყრობილეებიდან.

დამფუძნებელი კრების წევრი **თედორე კიკვაძე.**

## მილოცვები ბათომის გადმოცემის გამო.

**ახალციხე.** ამ თვის ცხრას ბათომისა და მისი ოლქის გადმოცემის გამო შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც გააკეთა მოხსენება ბათომისა და მისი ოლქის გადმოცემის შესახებ დამფუძნებელი კრების წევრმა თედორე კიკვაძემ შემდეგ ილაპარაკეს დამფუძნებელი კრების წევრმა ოსმან მიქელაძემ, ქალაქისა და სხვა პარტიების წარმომადგენლებმა ხალხი დიდი აღტაცებით მიეგება ამ სასიხარულო ამბავს და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ბათომისა და მისი ოლქის გადმოცემის, გაერთიანდა საქრისტიანო და სამუსულმანო საქართველო. ეს არის ქართველი დემოკრატიის უდიდესი გამარჯვება, რაც სახელმწიფოს უქადის ბრწყინვალე მომავალს. კრება იწონებს დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის პოლიტიკას, ულოცავს მას გამარჯვებას და იმედს გამოსთქვამს, რომ ასე მშვიდობიანი გზით შესძლებს ის ზაქათალის ოლქის მოკლე დროში შემოერთებას და მთელი რესპუბლიკის კანონიერი საზღვრების აღდგენას, ქალაქი ეროვნული დროშებით არის მორთული ხალხი ზეიმობს, სალამოს სეირნობა გაიმართება. პლატონ მიქაბერიძე.

---

**ქუთაისის** პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და გამგეობათა შეერთებული საგანგებო სხდომა აღფრთოვანებით ეგებება ბათომის და მის ოლქის საქართველოსთან შემოერთებას. ხედავს მასში საქართველოს დემოკრატიის უდიდეს გამარჯვებას და მტკიცეთ სწამს, რომ გაერთიანებული საქართველოს მუშათა კლასი საერთაშორისო მუშათა კლასთან ერთად მედგრათ გასწევს წინ კაცობრიობის საუკეთესო იდეალების განსახორციელებლად.

კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი ტუსკია.**

---

**დუშეთის** მოქალაქეთა მიტინგი გვარდიისა და ჯარის მონაწილეობით გაეცნო რა ბათუმის და მისი ოლქის საქართველოზედ გადმოცემას, უსაზღვრო კმაყოფილებით აღნიშნავს ჩვენი ხელმძღვანელების პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებას. ამ ფაქტს რაცხს სიმპტომად დემოკრატიის სამართლიან მოთხოვნილებათა წინაშე იმპერიალისტების ქედის მოხრისა, აღსრულდა ჩვენი ერის შეურყეველი ნებისყოფა: ძალმომრეობით ჩამოშორებული ქართველი მუსულმანები შეუერთდნენ ქრისტიან ქართველებს, გამრთელდა ჩვენი ერის გაჭრილი სხეული. გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველოს. თავმჯდომარე **ჭონიშვილი.**

---

**სიღნაღის** მოქალაქეთა მრავალ-რიცხოვანმა მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება ბათომის შემოერთების შესახებ, გამოსთქვამს სიხარულს და აღტაცებას, მოგილოცავთ საქართველოს დემოკრატიის დიად გამარჯვებას, გამოსთქვამს იმედს, რომ შემდეგშიაც დამფუძნებელი კრება და მთავრობა თავის მიზანშეწონილი მოქმედებით განამტკიცებს ჩვენს მშვიდობიანობას, შეინარჩუნებს დემოკრატიას რევოლიუციის ყველა მონაპოვარს. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას.

მიტინგის თავმჯდომარე **კრაწაშვილი.**

---

ამას გარდა ამავე შინაარსის დეპეშები რედაქციამ მიიღო შემდეგი ადგილებიდან: ქუთაისიდან—მოქალაქეთა მიტინგისაგან, სიღნაღიდან—ხმოსანთა არაჩვეულებრივ კრებიდან, აბაშიდან—მოქალაქეთა მიტინგიდან, გორიდან—სამაზრო ერობის მუშა-მოსამსახურეებიდან, თიანეთიდან—სახალხო გვარდიის შტაბიდან, სოფ. ახალ-ქალაქიდან—მოქალაქეთა მიტინგიდან. ზემოხანდაკიდან —კოოპერატივის წევრთა საერთო კრებიდან, ლაილაშიდან—სამასწავლებლო კურსებიდან, ბორჯომიდან—ქალაქის თვითმართველობიდან, გალიდან—მოქალაქეთა მიტინგიდან, ფოთიდან—მოქალაქეთა მიტინგიდან, ლაილაშიდან—რაჭა-ლეჩხუმის სამასწავლებლო კურსების მსმენელთაგან, ბათომიდან—ფოსტატელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებისაგან ქუთაისიდან—ქალაქის საბჭოდან, ოზურგეთიდან—მოქალაქეთა მიტინგიდან, ცაგერიდან და ტყიბულიდან—მიტინგიბისაგან.

## თფ. მუშათა კლასი და კომუნისტების პროვოკაცია

(იხ. „ერთ.“ № 154)

**ამხ. ხელაძე.** ამხ. გეგეჭკორმა მოგვცა პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც მას დავუსვით. ეხლა საჭიროა ამხ. ნ. რამიშვილმა განგვიმარტოს, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენში კომუნისტების მუშაობა. ჩვენ ვიცით, რომ აქ, თფილისში, არ მომხდარა დახვრეტა, კომუნისტები არსებობენ ლეგალურათ და აქვთ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები და ამ ჟამათ ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ, აწარმოვებენ ისინი არალეგალურ მუშაობას, თუ არა და როგორ შეხვდენ ისინი ბაქოს „კომუნისტ“-ის ყალბ, პროვოკაციულ ინფორმაციას.

კომუნისტების საქართველოში მოქმედების შესახებ სიტყვა ეძლევა შინ. საქ. მინისტრს **ნოე რამიშვილს.** ამხანაგებო! ეს უკვე მესამე კრებაა, რომელზედაც მე ერთი და იგივე კითხვას მაძლევენ. მე ბედნიერი ვარ, რომ ყოველთვის, როგორც წინათ, ისე ეხლა ამ საკითხზე მიხდება ერთი და იგივე გულახდილი და გარკვეული პასუხის მიცემა. ის კითხვა, რომელიც თქვენ აქ დასვით, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისაა. და მე ვამბობ, რომ ასეთ საკითხზე 3 ჯერ მიხდება ერთი და იგივე პასუხის მოცემა. ჩვენ, თქვენ მიერ არჩეულნი და თქვენი წარმომადგენლები მთავრობაში, თქვენთან ერთად მივდიოდით ყოველთვის. თქვენი იმედები და სურვილები ერთ და იმავე დროს ჩვენიც იყო ყოველთვის და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ ერთხელ მაინც ამ გზისთვის გადაგვეხვიოს. როდესაც ჩვენ გვითხრეს, რომ ჩვენგან მოელით პასუხს თქვენ მიერ დასმულ კითხვებზე, ჩვენ მაშინვე წამოვედით აქ, ჩვენს ამომრჩევლებთან პასუხის მისაცემათ, რადგან ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ თქვენს წინაშე. მაგრამ ვიდრე თქვენ შეკითხვაზე გადავიდოდე, მე მინდა გაცნობოთ თქვენ, თუ როგორ უყურებს საბჭოთა რუსეთთან და ადერბეიჯანთან დადებულ საზავო ხელშეკრულებას მთავრობა და ის სამინისტრო, რომელსაც მე ვმეთაურობ. თავიდანვე ჩვენ იმ პოზიციაზე ვიდექით, რომ საქართველოს უფლება არა აქვს ჩაერიოს რუსეთის შინაურ საქმეებში და როცა ცდილობდენ ჩვენზე გავლენა მოეხდინათ ამ მიზნით, ჩვენ განვუცხადეთ, რომ იმის საბუთსაც კი არ მივცემთ, რომ ეჭვი შეიტანონ იმაში, თუ ხელშეკრულებას სავსებით შევასრულებთ ჩვენ. თქვენ იცით, რომ როგორც კი ჩვენ მიწა-წყალზე შესდგა თერგის მთავრობა ვინმე ბუკანოვსკის მეთაურობით, ჩვენ იგი და მისი მთავრობა დაუყოვნებლივ განვდევნეთ საქართველოდან, თანახმად საზავო ხელშეკრულებისა საბჭოთა რუსეთთან. ჩვენ ტერიტორიაზე არ არის არც ერთი ისეთი ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს აცხადებდეს რუსეთის ან ადერბეიჯანის მთავრობათ. საზავო ხელშეკრულების ყველა მუხლები ჩვენ სინდისიერათ შევასრულეთ. მაგრამ როგორც საბჭოთა რუსეთი, ისე საბჭოთა ადერბეიჯანი ასევე არ მოიქცნენ. ყოველ გამოსვლას ჩვენს წინააღმდეგ, თუ ისინი ოფიციალურათ არ უჭერენ მხარს, ყოველ შემთხვევაში წინააღმდეგობასაც არ უწევენ.

უნდა გაგიცხადოთ, რომ ის პირნი, რომელნიც მოვალენი არიან სისრულეში მოიყვანონნ საზავო ხელშეკრულება, სულ სხვა პოლიტიკურ ხაზს მისდევენ. კავკავის, ბაქოს და როსტოვის კომუნისტები არ ეთანხმებოდენ თავის ცენტრს და ამბობდენ, რომ ისინი შესძლებენ საქართველოში არსებულ ძალა-უფლების დამხობას. მაგრამ ამ მიზანს ვერ მიაღწიეს და საბჭოთა რუსეთთან ზავი შეიკრა. ამის შემდეგ იძულებული გახდენ აქ დაეარსებიათ თავისი დამოუკიდებელი პარტიული ორგანიზაცია საქ. კომუნისტურ პარტიის ცენტრ. კომიტეტის ხახით. მაგრამ ფაქტიურათ ისინი განაგრძობენ თავის წინანდელ საქმეს. ჩვენ მათ მივანიჭეთ ლეგალური მუშაობის სრული უფლება და შესაძლებლობა, თუ ისინი სინდისიერათ აწარმოებენ თავის იდეურ მუშაობას, რადგან ჩვენ დემოკრატიას და მის მთავრობას არ ეშინია ახდილ, კეთილ-სინდისიერ იდეურ ბრძოლისა. ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ამ ბრძოლაში შევინარჩუნებთ, როგორც ყოველთვის უწინაც, ყველა ჩვენს პოზიციებს. მაგრამ სინამდვილემ გვიჩვენა, რომ კომუნისტებს ერთი წამითაც არ აუღიათ ხელი არალეგალურ მუშაობაზე. აი რამდენიმე ფაქტი ამის დასამტკიცებლათ: ხანხოისკის ტერორისტულმა მკვლელობამ დიდი სიხარული გამოიწვია ბაქოსა და კავკავში. აშკარაა ეს იყო კომუნისტების არა-ლეგალურ მუშაობის აქტი. საქართველოს დემოკრატიას არას დროს უარი არ უთქვამს და არც იტყვის ცალკე პიროვნებათათვის თავშესაფარის მიცემაზე. განა ჩვენ შეგვეძლო უარი გვეთქვა და არ მიგვეღო ადერბეიჯანის ყოფილი მოღვაწენი, რომელთაც, როგორც მუსავატელებს ჩვენ არ ვუთანაგრძნობდით, მაგრამ მოვიდენ აქ როგორც კერძო პირნი,—როდესაც წინათ ასეთ სტუმართმოყვარეობაზე უარი არ გვითქვამს დენიკინის დევნისაგან გამოქცეულ წითელ არმიელებისათვის! ამაზე მეტი: ჩვენ მათ საშუალება მივეცით, აქედან წასულიყვენ ნაწილ-ნაწილათ ისე, რომ არც კი გვიკითხავს თუ საით კენ მიდიოდენ. როდესაც ვისმეს თავშესაფარს ვაძლევთ, ჩვენ არ ვეკითხებით, თუ რა პოლიტიკურ რწმენისაა ის. ფინალი ასეთია: ტერორისტების არალეგალური ჯგუფი მიზნათ ისახავს დემოკრატიის ნდობით აღჭურვილ პირთა ნდობით აღჭურვილ პირთა მოსპობას და აწყობს მათზე თავდასხმას. მე არ მოვიყვან აქ ასეთ პირთა სახელებს, რადგან ისინი ჯერ არ არიან მართლმსაჯულების ხელში. გამორკვეულია, რომ ზოგიერთ სამხედრო ნაწილებში მომხდარი მცირედი ამბოხება კომუნისტების მუშაობის შედეგი იყო; ამის შესახებ არის დოკუმენტალური საბუთები; ასე იყო ახალციხეში და ლაგოდეხში. საბედნიეროთ მთელი არმია და გვარდია დემოკრატიის პრინციპების ერთგული დარჩა. მაგრამ ფაქტი ფაქტათ რჩება, რომ კომუნისტების არა-ლეგალურ მუშაობას აწარმოებენ და მთავრობა დიდ გამოუსწორებელ დანაშაულს ჩაიდენდა რომ არ ჩაექრო დასაწყისშივე ის ცეცხლი, რომელმაც მოსპო და დაღუპა რუსეთი და რომელიც ამასვე უზამდა საქართველოს. სოხუმში ამას წინათ დააპატიმრეს ცნობილი კომუნისტი კუხალეიშვილი, ერთი სამხედრო ნაწილის შარშან იქ მომხდარ გამოსვლის მეთაური და ხელმძღვანელი, რომლის ბინაზედაც აღმოაჩინეს ყუმბარები და სხვა საომარი მასალა. როდესაც ჩვენ ვმუშაობდით აჭარის შემოსაერთებლათ, იმ დროს საქართველოს ლეგალური კომუნისტები იქ გზავნიდენ რუსეთის კომუნისტურ პარტიის კომიტეტის სახელით თფილისში დაბეჭდილ არა-ლეგალურ პროკლამაციებს, სადაც ისინი ბათუმის ოლქის მცხოვრებთ მოუწოდებდენ საქართველოსა და მოკავშირეთა წინააღმდეგ. ჩვენ ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ ეს „ლეგალური“ კომუნისტები მთელ საქართველოს ყოველ კუთხეში გაფაციცებით ყიდულობენ იარაღს. რისთვის უნდათ ეს იარაღი? ნუ თუ ლეგალური მუშაობისთვის? მათ მოქმედებას აქვს ერთი გარკვეული მიზანი—გაანადგურონ, მოსპონ ჩვენი დემოკრატია და შიგნიდან ააფეთქონ ჩვენი რესპუბლიკა. ჩვენს წინაშე კიდევ სდგას ერთი ასეთი კითხვა. მათ აქვთ აქ გამოცემები—2 გაზეთი—ვის ხარჯზე სცემენ ისინი ამ გაზეთებს? საიდან ღებულობენ ისინი იმ ასი ათას მანეთებს, რომელიც საჭიროა ამ გაზეთების გამოცემას ეხლანდელ სიძვირეში? და აქ ლაპარაკია არა 100,000-ზე, არამედ იმ ათეულ მილიონებზე, რომელსაც ისინი არიგებენ კომუნისტთა სავანეში მასის გადასაბირებლად. ჩვენ განკარგულებაშია დოკუმენტალური საბუთები, რომ ეს უამრავი ფული მოდის ჩრდილოეთიდან და მოდის ერთი მიზნით: აჯანყების მოწყობის მიზნით იარაღის შესასყიდათ და იცით როგორ ქმნიან ისინი აქ თავის ჯარს? ადგილობრივ ელემენტების მაგიერ აქ მოქმედებენ სრულიათ უცხო მოსყიდული პირები, რომელნიც გუშინ თურქესტანში მოქმედებენ „მშრომელი მასის განსათავისუფლებლათ“, გუშინწინ ჩრდილო კავკასიაში და დღეს აქ. ამნაირათ ახდენენ აქ კომუნისტები ადგილობრივ საზოგადოებრივ არასინდისიერ ფალსიფიკაციას. მთავრობა მოვალეა ბოლო მოუღოს ასეთ მუშაობას. როგორც წმინდა იდეური ბრძოლის დამცველნი, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენ შევებრძოლებით კომუნისტების ლეგალურ პარტიის ყოველ არა ლეგალურ საქმიანობას და მუშათა კლასმა, რომელიც მუდამ ერთად იყო თავის მთავრობასთან, დღეს ამ კრებაზე უნდა სთქვას თავისი სიტყვა, ვინაიდან მთავრობა, თუ მას არ ექნება თავის ამომრჩევლებისაგან განსაზღვრული დირექტივები და მასში არ ჰპოვებს დახმარებას, სუსტი გამოდგება. და თუ მუშათა კლასი ჩვენ გვეტყვის, რომ ჩვენ უნდა მოვსპოთ ეს საშიში არალეგალური მუშაობა, მაშინ მთავრობა შეასრულებს თავის მოვალეობას. ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა კომუნისტების დევნისა ლეგალური მუშაობისთვის. ჩვენ ხელს არ ვუშლით საქართველოს კომუნისტების ტრაბახს, ვითომ მთელი მუშათა კლასი მათ უჭერდეს მხარს, მაგრამ ჩვენ სრული უფლება გვაქვს ჩავაქროთ ყოველი გამოსვლა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და მთლიანობის წინააღმდეგ. თქვენი ერთსულოვნობის ღრმა რწმენით ჩვენ მივდივართ ჩვენი გზით და გვწამს, რომ ხიშტებით ჩვენ ვერავინ ვერ მოგვახვევს თავის ნებას (ხანგრძლივი ტაში).

**ამხ. გ. ფოფხაძე.** აქ განაცხადა ერთმა მოლაპარაკემ, რომ კომუნისტების მიერ გავრცელებულ პროვოკაციულ ინფორმაციის შესახებ არა ღირდა ამ კრების მოწვევა. მე კი ვფიქრობ, რომ დავაგვიანეთ კიდევაც, აქამდე უნდა გვემსჯელა ამაზე, იმ პროვოკაციის შესახებ უნდა გველაპარაკნა ყოველ ქარხანაში. პროვოკაციულ ცნობების შემდგენელთა მიზანი ცხადია და მუშების ტრაგედიაც იმაშია, რომ იმათ ატყუებენ იქ კომუნისტები. ჩვენი ვალია სწორედ ზომები მივიღოთ, რომ ეს მუშები გამოვგლიჯოთ მათ კლანჭებიდან. სწორედ პროფეს. კავშირების ვალია ასეთ პროვოკაციულ ცნობების წინააღმდეგ ბრძოლა. თუმცა კი არა მგონია,რომ ჩვენ შორის მოიძებნოს ისეთი ბრმა მუშა, რომელიც კომუნისტების ანკესზე წამოეგოს. მუშები ბრმათ არავის არ უნდა უჯეროდენ. თვითონ უნდა შეამოწმონ და დარწმუნდენ ყოველი ასეთი ცნობის სინამდვილეში. ამ კრებამ უნდა გამოსთქვას აღშფოთება გავრცელებულ პროვოკაციის გამო, ყველაფერი ეს აცნობოს საერთაშორისო პროლეტარიატს და სთხოვოს მას გამოგზავნოს აქ საგანგებო მუშათა კომისია აქაურ პირობების და ჩვენი მდგომარეობის გასაცნობათ, რათა დარწმუნდენ, მართლა ვხვრეტავთ ჩვენ მუშებს, თუ კომუნისტები არავითარ საზიზღარ საშუალებას არ ერიდებიან ნამდვილ დემოკრატიის მოსასპობათ. (ტაში).

**ბაქრაძე.** (სოც.-ფედ.) (ფარმაცევტების კავშირიდან). არის ერთგვარი ბაყაყი, რომელსაც ხალხი ბარომეტრს უძახის და აი რატომ: ნისლი დაიწყება თუ არა, ეს ბაყაყი ხეზე შეცოცდება. ეს იმიტომ, რომ წვიმა მოუნდა. სწორედ ასეა კომუნისტების საქმეც.—მოშივდათ და ჩვენზე მოდიან. (ტაში, სიცილი). ნამდვილათ ასეა იმათი საქმე. მაგრამ გარდა მათი ჩვენზე გამოლაშქრების, კუჭით გამოწვეულ მიზეზის გარდა არის მეორე გარემოებაც, ჩვენ წარმოვადგენთ მეორე ორგანიზაციას, რომელიც მუშათა სახელს ატარებს; ეს მათზე კარგი დემოკრატიაა, ცხადია, მათ კონკურენციას უწევს, ჩრდილს აყენებს მათ. საქართველოს მუშები შეგნებულათ ერკვევიან ეკონომიურ საკითხებში. მათი შეცდომაში შეყვანა ადვილი არ არის. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის კავშირი, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ. მე მენშევიკი არა ვარ: მე ვარ მეორე სოციალისტურ პარტიის წევრი—სოც-ფედ. და მე ვერ დამწამებენ მენშევიკებისადმი მიმკერძოებას. რატომღაც ამ კავშირზე იძახოდენ, რომ იგი კომუნისტურია. ესენი მხოლოდ გაჰყვიროდენ ამას. წინათ თითქოს იყო ასეთი რამ, ძლიერნი იყვნენ კავშირში, მაგრამ აი ნათქვამია: „ბრიყვი მიუშვი ნებასა—თვითონ აიტეხს ვენებასაო“—ჩვენ არ შევუშალეთ ხელი მათ და მალე გაებნენ კიდევაც ხაფანგში. დიდი შეგნებული ნაწილი კავშირისა კი მათ არ აჰყოლია, ვიდრე საქართველოს დემოკრატია ასე შეკავშირებული დარჩება, მას ვერას დააკლებენ კომუნისტები. ხოლო ჩვენ გვჭირია სიფრთხილე მუხანათობისა. ამიტომ მათთან უნდა განვაგრძოთ ლაპარაკი, მაგრამ თან ხელში მზათ უნდა გვეჭიროს ქვა, როგორც ამას წინად „ერთობა“ სწერდა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისინი ყოველთვის დამარცხდებიან, ვიდრემდე ისინი განაგრძობენ ზარბაზნების საშუალებით ფედერაციის დამყარებას. ჩვენი კომუნისტების შინაგანი პოლიტიკა კი ყოვლათ გარეცხილი და უნამუსოა (სიცილი, ტაში). ჩვენ მტკიცეთ ვიაროთ ხელიხელ ჩაკიდულნი და მთავრობას ჯავრი ნუ ექნება (ტაში).

(დასასრული იქნება).

## წერილი რედ. მიმართ

**შეცდომის გასწორება**

„ახალი სხივის“ მე-11-№-ში ჩემ წერილში სათაურით „თვალთმაქცობა“ მესამე გვერდზე, პირველ სვეტზე დაბეჭდილი: „მოლებთან გველაპარაკა“, უნდა იყოს: „მათთან გველაპარაკა“.

*გრ. გიორგაძე.*

## განცხადება

**სრულიად საქართველოს მეორე საეკლესიო კრებას.**

(ქვემო ხელის მომწერთა ამა კრების დელეგატებისაგან).

მეორე საეკლესიო კრება, რომელიც გაიხსნა მიმდინარე 1920 წლის 27 ივნისს ქ. თფილისში და რომლის შემადგენლობის დიდი უმრავლესობას წარმოადგენს სამღვდელოება, რისთვისაც სამართლიანად შეიძლება ეწოდოს მას უფრო სამღვდელოთა, ვიდრე საეკლესიო კრება, რადგანაც მასში მორწმუნე ერი ნაკლებათ არის წარმოდგენილი, შესდგა ისეთ მოლიპულ გზაზე, რომელმაც სავსებით გააუქმა 1917 წლის საეკლესიო დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და დაკანონებული დებულებანი. ვინაიდან ასეთი მოქმედება საეკლესიო კრებისა ჩვენ მიგვაჩნია უკანონოდ, რადგანაც მოხსენებული დებულებანი არ ეწინააღმდეგებიან საეკლესიო კანონებს და არიან შესაფერი დღევანდელი დემოკრატიული წესწყობილებისა, რომელიც ვერ ითმენს და ვერ შეეგუება ვერავითარ მონარქიულს და ბიუროკრატიულს სისტემის აღდგენას, თუნდაც ეკლესიურ სფეროში. ამისთვის ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი, წევრნი აღნიშნული კრებისა, იძულებულნი ვართ განვაცხადოთ ოვით კრების, მთელი მორწმუნე ერის და დანარჩენი სამღვდელოების საყურადღებოთ შემდეგი: დღევანდელმა კრებამ მოახდინა სრული რესტავრაცია რუსულ სინოდალურ ეკლესიურ წესწყობილებისა, რაც გამოიხატა: ა) უმაღლეს სასულიერო პირების (კანადიკოს-პატრიარქის და მღვდელმთავრის) მორწმუნეთა მიერ პირდაპირ და ფარული კენჭის ყრით არჩევნების გაუქმებაში; ბ) მართვა-გამგეობაში კოლეგიურ დაწესებულებას (საეპარქიო და საოლქო საბჭოების) გაუქმებაში და მღვდელ-მთავრების შეუზღუდველ უფლებებით აღჭურვაში; გ) სამღვდელოებისადმი პირველ კრების მიერ მიცემულ უფლებების წართმევაში; დ) მრევლის მიერ კრებულის წევრთა თავისუფალ არჩევნების შეზღუდვაში; ე) ჯვრის წერის დროის შეზღუდვაში და სხვ.

ვხედავთ რა, რომ ასეთი დრო მოჭმული და ცხოვრებისაგან ჯერ კიდევ ძველ დროში დაგმობილი ეკლესიური წესების აღდგენა ვერ დააკმაყოფილებს თანამედროვე მორწმუნეთა ზნეობრივ-სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს და იძულებულს ყოფს მათ საბოლოოდ ზურგი შეაქციონ ეკლესიას და მის მსახურთ, ჩვენ სრულებით ვერ ვიზიარებთ კრების დღევანდელ მუშაობას და საჭიროთ ვრაცხთ ეკლესიის წყობილების განახლებას საფუძვლად დაედვას 1917 წლის საეკლესიო კრების მიერ მიღებული დებულებები, რომელიც შესწორებული და შევსებული უნდა იქნას. (აქ ჩამოთვლილია ის ზომები, რომელიც ამ დოკუმენტზე ხელის მომწერთ საჭიროთ მიაჩნიათ. რედ.).

დღევანდელი ეკლესიის მეთაურნი უარყოფენ პირველი საეკლესიო კრების მიერ მიღებულ დებულებებს იმ მოსაზრებით, რომ იგი ეწინააღმდეგება აღმოსავლეთურ ეკლესიის საერთო კანონებს და დამარღვეველია მისი მთლიანობისა, რაც განაცხადეს მათ 1 ივლისის კრებაზე. ამ განცხადებიდამ ლოღიკურად გამომდინარეობს, რომ 1917 წლიდამ საქართველოს ეკლესია დღემდის ცხოვრობდა უკანონოდ, საეკლესიო კანონმდებლობის გარეშე. და თუ ეს ასეა, საჭიროა ამ ხანაში მომხდარი ყველა არჩევნები და განკარგულებები და საეკლესიო სფეროში აღიარებულ იქნეს უკანონოდ და გაუქმებულად და დღეს, კანონიერების აღდგენის შემდეგ მოხდეს ახალი არჩევნები და თავიდანვე გადასინჯულ იქნეს ყველა კანონმდებლობანი საეკლესიო პირთა და ორგანოთაგან გამომდინარე. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ მსოფლიო კრებების დადგენილებებზე მითითება ყოველთვის ან გაუგებრობის ან არა შესაფერ მოსაზრებათა შედეგია. ისტორიაში ვოველივე ხდებოდა და ხდება დროისა და გარემოების მიხედვით, მსოფლიო კრებებიც კერძოდ განიცდიდენ ბიზანტიის იმპერატორების მოურიდებელ ზედგავლენას. იმპერატორები თითონ იწვევდენ მსოფლიო კრებებს, ხან თითონ თავმჯდომარეობდენ მათზე, ხან აგზავნიდენ თავის წარმომადგენლებს. ისინი აღჭურავდენ პატრიარქ-მღვდელ-მთავრებს დესპოტიურ უფლებებით ხალხზე და თი-

თონ კი იმორჩილებდენ და იმსახურებდენ მათ დაქროცა უნდღდათ კიდევაც სცვლიდენ გადააყენებდენ მათ ღ სხ. საქართველოს კი მონარქი არ ყავს და არც ეყოლება. საეკლესიო კანონმდებლობა და წყობილება, როგორც ცვალებადი მხარე სარწმუნოებისა, დროს და გარემოებას უნდა შეუფარდდეს; თორემ გარიყული იქნება ცხოვრებისაგან. ყურადსაღებია ის ფაქტები, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას პირველად უხდება მთელ სოფლიოში მოქმედება რესპუბლიკანურ ქვეყანაში, ჩვენში—საქართველოში.

წინად თუ იმპერატორები ზრუნავდენ ეკლესიისათვის, ეხლა მათი ადგილი ჩვენში დაიკავა მორწმუნეებმა. ხოლო მორწმუნეებს შეუძლიათ სავსებით განახორციელონ თავის უფლება უფრო არჩევნების წესით და საეკლესიო საქმეებში მუდმივ მონაწილეობით და თანამშრომლობით, რასაც ასე ვერ ურიგდებიან ჩვენი მამათმთავრები და სამღვდელოების უმრავლესობა, უამისოდ კი ეკლესიას არ შეუძლია არსებობა ჩვენში.

აღვნიშნავთ რა ყველა ზემოთქმულს, ჩვენ ვითავისუფლებთ თავს დღევანდელი კრების მიზანშეუწონელ მუშაობის შედეგების პასუხისმგებლობისაგან ეკლესიის და ქვეყნის წინაშე და აუცილებელ ჩვენ წმინდა მოვალეობად მიგვაჩნია აღნიშნული საკითხი უზენაეს მსჯავრის დასადებად გადავიტანოთ მორწმუნეთა წრეებში.

დეკანოზნი: ეპიფანე ჩხაიძე, ს. ლეკვეიშვილი, გ. ბარათაშვილი, ზ. ცინცაძე, გ. ჯაველიძე. მღვდლები: მ. კუხალეიშვილი, დ. გოგოხია, ი. გულდიანი, დეკ. ტ. ჯოხტაბერიძე. ერისკაცნი: ა. ჯიშმელიშვილი, დ. მახარაშვილი, ვ. კოზოგლაძე, მიხეილ ტყემალაძე, ვ. ბათიაშვილი, ა. ციხისტოვი, ლ. გურამიშვილი, ზ. ზირაქაშვილი, ზ. ჭინჭველაძე, ა. ახალშენიშვილი, ვ. მაგაგალაძე, დ. ნახუცრიშვილი. დ. თომა მეგრელიშვილი, დათ. ქ. ციცქიშვილი, მღ. ბასიძა მახარაძე, გრ. ლომინაძე, ვლ. ფოფხაძე, გ. გრიგოლია.*)

## რკინის გზაზე

არც ერთი ბოროტება და დაუდევრობა რკინის გზებისა დაუსჯელი არ რჩება რკ. გზაზედ, როცა ეს შეეხება ამა თუ იმ წვრილფეხა აგენტს თუ მუშებს. მაგრამ არ ისჯებიან ის ადმინისტრატორები რომლებიც ხშირად ბოროტებას სჩადიან. მე ასეთ ბოროტებათ მიმაჩნია მატარებლებზე კერძო პირთათვის სამსახურის ვაგონების მობმა —ცოლშვილის ან და ნათესავების სატარებლათ, რესპუბლიკის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში,—სასეირნოთ ანდა, რამ უმნიშვნელო საქმეზედ. ეს ხდება მაშინ, როდესაც მგზავრები და მოსამსახურეები საერთოდ ვაგონებში დიდ სივიწროვეს განიცდიან განსაკუთრებული ვაგონების მიბმა ჩვენის აზრით ვის როგორი მოესურვება დიდი ბოროტებაა, ეს დაუშვებელია. დღეს კი, ვერც ერთ მატარებელს ვერ ნახავ, რომ არ ქონდეს მობმული სასამსახურო ვაგონები და არ ეზიდებოდენ ქალ-ბავშვებს, ფქვილებს და სხვას.

სწორეთ 5 ამთვეს ბორჯომის მატარებელი № 19 მოყვა ათამდე სასამსახურო ვაგონები. საიდანაც გადმოქონდათ ფქვილი, გადმოყავდათ ქალებიბავშვები და სხვა, რამაც გამოიწვია ხალხის უკმაყოფილება. მართლადაც საკითხავია, როდის მოეღება ბოლო ამ უთავ-ბოლობას? ან და მიიღებს თუ არა როგორც ადმინისტრაცია ისე პროფესიონალური კავშირები ზომებს ზემოხსენებულის აღმოსაფხვრელათ?

—იაძე.

## სასამართლოში

**ყოფილ გენერალ-გუბერნატორის შალვა მაღლაკელიძის და სხვათა საქმე.**

8 ივლისის სხდომა.

ამ დღისათვის სასამართლოში გამოწვეული არიან შორეულ კუთხეებიდან ჩამოსული მოწმეები, რომელთა დაკითხვამდეც ბრალდებულნი იმ ჩვენებას ადასტურებენ, რომელიც მათ გამომძიებლისათვის მიუციათ წინასწარ გამოძიების დროს. მაღლაკელიძე დანაშავედ არა სცნობს თავს არც ერთ ბრალდებაში და კერძოდ იმ 16,800 მან. ეხება, რომლის მითვისებაც ბრალდება ახალციხეში ყოფნის დროს. იგი დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს ახალციხის მაშინდელ მდგომარეობას, როდესაც ქალაქი გარშემორტყმული იყო მტრისაგან და მას, როგორც ერთად-ერთ პატრონს და მთავრობის რწმუნებულს დიდი მუშაობა აწვა კისრად და ზემოხსენებული ფული დახარჯა მან წითელგვარდიელებზე და ახალციხის თავდაცვის საჭიროების დაკმაყოფილებაზე.

ჩაჩიბაია თავს დამნაშავეთ სცნობს იმაში, რომ მონაწილეობა მიიღო 400,000 მან. მითვისებაში, რაც შეეხება 150,000 მან., ამბობს ჩაჩიბაია,—იგი მივიღე ნდობის ქაღალდით და ჩავაბარე მაღლაკელიძესო. შენგელაია თავს დამნაშავეთ სცნობს 400,000 მან. მითვისებაში. იგი გამომატანა ჩაჩიბაიამ ამ ფულიდან ნაწილ-ნაწილათ მომცა ჩაჩიბაიამ

45 ათასი მანეთი. მაღლაკელიძეს გადასცა თუ არა ფული, არ ვიციო.

მოწმე **გენ. არჯევანიძე**, რომელიც მაღლაკელიძის ახალციხეში ყოფნის დროს, მთავრობის მიერ განსაკუთრებულ მინდობილობით იყო გაგზავნილი იქ, ახასიათებს შ. მაღლაკელიძეს, როგორც პატიოსანს და რესპუბლიკისათვის თავდადებულ მუშაკს. მაღლაკელიძეს მთელი ახალციხე და მისი მაზრა განურჩევლად ეროვნებისა პატივსა სცემდა. მოწმე ადასტურებს, რომ მაღლაკელიძეს უხდებოდა ყველა საჭიროების დაკმაყოფილება, იგი კვებავდა გვარდიელებს და ყველა ხარჯებს ისტუმრებდაო.

მოწმე **ჯაფარიძე** (ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი) უპასუხებს მხარეების კითხვებზე, ჩაჩიბაიას შეკითხვაზე მაღლაკელიძემ თავის წასვლის დროს მიაბარა მას თუ არა ნივთები ანდა ფული, რომელიც მერე ლ. რუხაძემ გამოიტანა, ამაზე მოწმე უპასუხებს, რომ მისთვის არ მიუბარებიათ. იყო ერთი შემთხვევა,—ეს ის, რომ ლ. რუხაძეს რაღაც საჭიროებისათვის დასჭირდა ფული; მე მომართა როგორც კარგ ნაცნობს, რომელსაც მივეცი ჩემი საკუთარი ფული 500 მან., ფული მაღლაკელიძემ ჩამოსვლისთანავე დამიბრუნა. მოწმე მოითხოვს განთავისუფლებულ იქნას, რადგანაც სამსახურის გამო იგი დაუყონებლივ უნდა გაემგზავროს პროვინციაში. ბრალდებული ჩაჩიბაია მოითხოვს გამოწვეულ იქნას ლ. რუხაძე მოწმესთან პირისპირ შესახვედრათ. სასამართლომ გამოიწვია საჩქაროთ ლ. რუხაძე.

**მოწმე ჩიქოვანი** (თფილისის საგუბერნიო კომისარის ყოფილი თანაშემწე) ახასიათებს მაღლაკელიძეს, როგორც პატიოსან მუშაკს. მე მიკვირდა კიდეც, რომ ახალგაზრდა კაცი ასეთ წყნარ ცხოვრებას ატარებდა. იყო თავმდაბალი, საქმის მუყაითი. მისი ადიუტანტი ხშირად ჩვენ საქმეებში ერეოდა. მე ეს არ მომწონდა. უკმაყოფილო იყო მაღლაკელიძე, მაგრამ უთმენდა—პატიოსანი კაცი არისო. რაც შეეხება ზედმეტი დღიურის ხარჯების გაღებას შალვა მაღლაკელიძის მიერ, ამაზე მოწმე ამბობს: ხშირად სამინისტროშიც გვილაპარაკნია იმის შესახებ, რომ ის დღიური ფასი, რომელიც გვეძლეოდა სამსახურის გამო სადმე წასვლის დროს, ცოტა იყო. სამინისტროში, მართალია, ამაზე გადაჭრით არას გვეუბნებოდნენ, მაგრამ ჩვენს აზრს კი იზიარებდენ. მახსოვს ასეთი შემთხვევა: თელავ-სიღნაღის მაზრაში მივდიოდა კომისარიატების დასათვალიერებლათ და კანონით დადებულ 25 მან. დღიურის ნაცვლათ 45—50 მანეთამდე მივიღეო. ასევე მიიღო მეორე თანაშემწემ, რამდენადაც ვიცი, ამის ნებართვა მაღლაკელიძეს გამოთხოვილი ჰქონდა სამინისტროდან, თუმცა წერილობითი საბუთი არ მინახავს ამისათ. აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც მოგზაურობის დროს გაწეული ხარჯების ანგარიში წარვადგინეთ სამინისტროში, იქ ეს დაამტკიცესო.

**მოწმე ბაიბუროვსკი** აღნიშნავს, რომ მას მაღლაკელიძესთან არავითარი კომერციული დამოკიდებულება არ ჰქონია. მასზე კარგის მეტი არაფერი გაუგია. შეკითხვაზე,—იცნობს თუ არა მოწმე ქალბატონ გოიჩიკის, ის დადებით უპასუხებს და თანაც დასძენს, რომ ქალ. გოიჩიკი შეძლებული ქალია და თუ ის მსახურებდა მასწავლებლად, არა ფულის გულისათვის, არამედ პედაგოგიურ საქმისადმი სიყვარულის გამო.

**ნ. ინასარიძე** აცხადებს, რომ ის შ. მაღლაკელიძის ახალციხეში ყოფნის დროს სამხედრო შტაბის წევრი იყო. გვარდიელებისათვის სურსათს მაღლაკელიძე ყიდულობდა. სომხის ეროვნული საბჭო არავითარ დახმარებას არ გვაძლევდა. ჯამაგირებს გვარდიელებს მაღლაკელიძე აძლევდა, იგივე ისტუმრებდა ყოველივე ხარჯებს. აზნაუროვს დაახლოვებით არ ვიცნობ, გამიგია ძლიერ პატიოსანი და კარგი კაციაო. შეკითხვაზე—გამოიპარა თუ არა მაღლაკელიძე ახალციხიდან, მოწმე უპასუხებს უარყოფით.

**ლ. რუხაძე** თავიდანვე აცხადებს, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია მაღლაკელიძესთან ანგარიშების საქმეში. მე მქონდა მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც დავესესხე ფოსტის უფროსს 500 მანეთი და როდესაც მაღლაკელიძე პირდაპირ მავთულით დამელაპარაკა შესახებ იმისა, თუ ვისთვის ჩაებარებია ავტომობილი; მე უთხარი, რომ დაეტოვებინა ფოსტის უფროსისათვის და თან დავძინე, რომ გადაეხადა მას ვალი 500 მანეთი. კერძოთ ჩაჩიბაიასთან მე არავითარი საქმე არ მქონია. ყოველთვის მას ეჭვის თვალით ვუყურებდი. (რადგანაც ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ავტომობილით როდესაც მოვიდნენ შ. მაღლაკელიძე და ჩაჩიბაია, ვგონებ მათთან იყო ლეო რუხაძე, მას პირისპირ წაუყენეს ლ. რუხაძე, უკანასკნელმა განაცხადა იმ დროს მე პირდაპირ მავთულით ველაპარაკებოდი მაღლაკელიძესო. ამას ჯაფარიძე ადასტურებს და აცხადებს ახლა გამახსენდაო). შეკითხვაზე მომხრე იყო რუხაძე თუ არა, რომ მაღლაკელიძეს ახალციხე დაეტოვებინა, მოწმე აცხადებს, რომ მაღლაკელიძემ იცოდა, რომ მე წინააღმდეგ ვიყავი მისი ახალციხიდან წამოსვლისა, მაგრამ მაინც წამოვიდაო და ამას ასაბუთებდა მით, რომ ახალციხეს ნაკლები ყურადღებას აქცევენო და ჩვენ ამ მცირეოდენ ძალით ვერაფერს გავხდებითო. ეს იყო გამოთიშვა საქმიდან. შემდეგ ამისა მოწმე დაწვრილებით ეხება ახალციხეში არსებულ მდგომარეობას, თურქოფილურ მოძრაობას, დაშნაკელების მოღვაწეობას და იმ თავგანწირულ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდენ საქართველოს ორიენტაციის მომხრეები. ეხება რა

მოწმე დაწვრილებით ახალციხეში სხვადასხვა ბრძოლას, ნაციონალურ პოლკების მოღვაწეობას, და ხატავს რა მთლიან სურათს ახალციხის მდგომარეობისას, მოწმე აღნიშნავს, რომ შ. მაღლაკელიძეს დიდი ნდობა ჰქონდა დამსახურებული ყველა ეროვნებათა შორის, ის იყო ერთად ერთი პიროვნება, რომელიც აერთებდა ყველა ეროვნების მცხოვრებთ. ეხება რა ქართულ ნაციონალურ საბჭოს მოღვაწეობას, აღნიშნავს, რომ ის მთელი შემადგენლობა დიდ დახმარებას გვიწევდაო. მისი თავმჯდომარე აზნაუროვი დღე და ღამ ჩვენთან იყო და მთელი არსებით ჩვენს საქმეს ემსახურებოდაო. მოწმის სიტყვიდან ირკვევა, რომ მაღლაკელიძე ეწეოდა ხარჯებს გვარდიაზე; როგორც მახსოვს იყიდეს კოვზები გვარდიელებისათვის და სხვაო. ჩაჩიბაიაზე ცუდი ხმები დადიოდა. ამბობდენ თოფებს ყიდისო. მე პირადათ მასთან არავითარი დამოკიდებულება არ მქონდა. შეკითხვაზე— დროზე იღებდენ ადმინისტრაციისათვის ფულს, ამაზე მოწმე უპასუხებს, რომ ცენტრიდან ხშირათ ორი-სამი თვის განმავლობაში არაფერს გზავნიდენო. ხშირი იყო სურსათის უქონლობა და ქართლის სოფლებიდან ყიდულობდენო. ისეთი ქაოტიური მდგომარეობა იყო იქ, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო რაიმე ანგარიშის წარმოება.

## რკინის გზელთა პროფეს. კავშირების კონფერენცია

(გაგრძელება)

2 ივლისის საღამოს სხდომა. თავმჯდომარეობს ბერეჟიანი. დღის წესრიგშია „ბრძანება № 17“—განხილვა. სხდომას ესწრება შრომის მინისტრის ამხანაგი ბახტაძე. მოხსენებას აკეთებს ვ. სიხარულიძე: „ბრძანება № 17“, გამოცემული შრომის მინისტრის და გზის ადმინისტრაციის მიერ, სადაც ჩამოთვლილია მუხლებათ სამუშაო დრო და მოვალეობა-უფლებანი დაქირავებულების, იწვევდა და იწვევს მუშა-მოსამსახურეებში დიდ უკმაყოფილებას. ეს ბრძანება ისეთ დროს იყო შემუშავებული, როდესაც ჩვენი ქვეყნის გართულებულ პირობებში იმყოფებოდა და არ შეიძლება ის დამუშავებული ყოფილიყო სამართლიანად და ნორმალურად. რასაკვირველია, მასში არ იქნებოდა დაცული წონასწორობა, ამიტომაც ამ ბრძანებას სამართლიანად მიაქცია რკინის გზელთა დელეგატების მეორე ყრილობამ ყურადღება და ის გადასცა ახალ გამგეობას დასამუშავებლად დროის და პირობების მიხედვით, რაც შემდეგ გამგეობამ შრომის სამინისტროსთან და გზის ადმინისტრაციასთან ერთად უნდა შეეტანა შესწორებები. გამგეობა შეუდგა ამ საკითხის დამუშავებას, მაგრამ კითხვა ისეთი რთული აღმოჩნდა, რომ ჯერაც არ არის გადაჭრილი და ჩვენ დღითი დღე მოგვდიოდა რაიონებიდან დადგენილებები, სადაც კატეგორიულად მოითხოვდენ დაჩქარებით „ბრძანება № 17“ შეცვლას. ჩვენ რამოდენიმე თვეა ამ საკითხზე ვმუშაობთ შრომის სამინისტროსთან ერთად, ჯერაც არ მომხდარა ჩვენ შორის ზოგიერთ მუხლებში შეთანხმება. პროფესიონალური კითხვების გადაწყვეტა წმინდა კლასიურ თვალთახედვის ისრით ძნელდება, რადგანაც პროფესიონალური კავშირები სახელმწიფო ნიადაგზე დგანან უმთავრესად და არ შეიძლება სახელმწიფოს ფინანსიურ ეკონომიურ მდგომარეობას ანგარიში არ გავუწიოთ, მაშინ ჩვენ დავცილდებოდით იმ საერთო ხაზს, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ და ვადგივართ. ამ პირობებში მოუხდა ცენტრ. გამგეობას ბრძანების გადაშინჯვა. რკ. გზ. დარგი ისეთი რთული წარმოებაა და მრავალი სახის, რომ, თუმცა 8 საათის სამუშაო დღე კანონით არსებობს რესპუბლიკაში, მაგრამ აქ ზოგიერთ დარგში შეუძლებელი ხდება მისი გატარება. რკინის გზაზე მუშაობის ორი მომენტი არსებობს: ფიზიკური სამუშავო—მუდმივი და განუწყვეტელი (დეპო, სახელოსნო, ლიანდაგი) სადაც თვეში 25 სამუშაო დღით განისაზღვრება, და გამოიხატება 8 საათის სამუშაო დღით; მეორე მომენტი ეს მორიგეობითი სამსახური, სადაც არის 30 დღის სამუშავო კომპენსაციით. პირველი კატეგორიის მუშაობას აქვს ქარხნული ხასიათი, მეორეს კი მორიგეობითი, განსაკუთრებით მოძრაობის დარგში, როგორიც არის მეისრეები, კონდუქტორები, შემადგენლები და სხვა. აქ არ შეიძლები გატარდეს წმინდათ 8 საათ. სამუშაო დღე ტეხნიკური პირობების გამო და ამიტომ ჩვენ გვაქვს სადავო მუხლი ამ კატეგორიათა შესახებ კომპენსაციის მხრით შრომის სამინისტროსთან და გზის ადმინისტრაციასთან. ჩვენ მოვითხოვთ ოთხი დღის კომპენსაციას თვეში, რაც შესაძლებლობას გვაძლევს 8 საათ. სამუშაო დროის გატარებისას. სხვა ზოგიერთ მუხლებში ჩვენ მოვეხდა შეთანხმება და არის ზოგიერთი უმთავრესი 4 მუხლი, რომელიც იწვევს დავას და ჩვენ გვგონია აქაც შევძლებთ შეთანხმებას. ამ მოხსენებას კონფერენციისათვის აქვს უფრო ინფორმაციული ხასიათი და კონფერენციის შეხედულება ჩვენთვის იქნება სახელმძღვანელო.

მოხსენების გათავების შემდეგ დელეგატი მიქაია ეკითხება თავმჯდომარეს, რომ მომხსენებელმა სიტყვის დასასრულ სთქვა, კონფერენციისათვის მოხსენებას აქვს ინფორმაციული ხასიათიო"—ამიტომ მოითხოვს მიქაია, რადგანაც კონფერენციის წევრები გამოგზავნილი არიან წინდაწინ მიცემული დირექტივებით და საკითხებიც წინდაწინ იყო დაგზავნილი რაიონებში, არ შეიძლება კონფერენციის წევრებს გადამჭრელი მნიშვნელობა არ ჰქონდეს და მოითხოვს კონფერენციის მდგომარეობის გამორკვევას.

სხვა ორატორებიც მოითხოვენ გამოირკვეს კონფერენციის მდგომარეობა. რადგანაც შრომის მინისტრის ამხანაგი ამ საკითხის შესახებ საგანგებოთ იყო მოწვეული, ამიტომ კონფერენციის უფლების შესახებ წამოყენებული საკითხი გადიდებულ იქნა მეორე დღისათვის და კონფერენციამ მოისმინა შრომის მინისტრის ამხანაგის **ალ. ბახტაძის** აზრი ამ საკითხზე, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: კონფერენციას არ ძალუძს „ბრძანება № 17“ მუხლობრივად განიხილოს, რადგანაც ეს შეუძლებელია და მიზანსაც ვერ მიაღწევს. ეს კითხვა საკმარისად არის აქ გაშუქებული და კონფერენციას, მე მგონია, ნათელი წარმოდგენა აქვს. მთავარი საკითხი არის აქ სამუშაო დროის შესახებ. გზათა ადმინისტრაციამ ამ საკითხში შემოიტანა კორექტივები და ჩვენ ამას ორი თვეა ვამუშავებთ. აქ საყვედური გამოთქვეს, თუ რატომ აქამდის ვერ შევძელით ამ კითხვის დამუშავება; უნდა ითქვას რომ, „ბრძანება № 17“ შემუშავება ორი კვირის საქმეა, მაგრამ ჩვენ მოგვიხდა მუშაობა აპრილის რიცხვებში და ყველამ იცის თუ რა მდგომარეობა იყო მაშინ ჩვენი ქვეყანა გარეშე მტერთან ომის გამო და ვის შეეძლო მაშინ ამის გარშემო მუშაობა როცა ყველა საომარ მდგომარეობაში იყო და რესპუბლიკი არსებობას ეხებოდა კითხვა. ცხადია, ამან გავლენა იქონია და ამიტომ ვერ შევძელით ამის დროზე დამუშავება. ზოგიერთ მუხლებში უკვე მოხდა შეთანხმება, მაგრამ დარჩა სადავო მუხლი, რომლის მიღება რკინის გზის გასავალს უმატებს 25 %. რამოდენიმე ოცეულ მილიონებს უმატებს რკინის გზის გასავალ ხარჯებს და როგორ შეიძლება ასე ხელდასმით გადაწყვეტა საკითხის. საქმე ეხება საერთო სახელმწიფო მდგომარეობას, შეუძლია თუ არა აიტანოს—ასე დგას კითხვა და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. ცენტრალური გამგეობის მოთხოვნილებები მაქსიმალისტურია და შეუძლებელია მისი ამ სახით გატარება. არის ისეთი სადავო მუხლიც, სადაც ადვილია შეთანხმება, ეს არის ლიანდაგის მუშების დასვენების საკითხი. ჩვენ ვამბობთ დასვენება იყოს ერთი საათი სადილის დროს, გამგეობა კი თხოულობს $^1/_2$ საათ. ჩვენ მიგვაჩნია ერთი საათი შრომის ნაყოფიერებისათვის სასარგებლოდ და ამიტომ გედავებით ამ მუხლშიაც. რადგანაც კითხვა რთულია და მწვავედ იდგა და საჭირო იყო, გზის ადმინისტრაციის აზრიც და შრომის სამინისტროს წარმომადგენლის დასწრებაც შეწყვეტილ იქნა სხდომა და კითხვა „ბრძანება № 17“ გადადებულ იქნა 5 ივლისისთვის, სადაც გზათა მინისტრიც დაესწრება.

გალო სკლიარი.

(შემდეგი იქნება).

## კულტურული მუშაობა ჯარში

(ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ)

9 ივლისი.

ცნობები მოდის, რომ ზოგიერთი უფროსები და აფიცრები სათანადოთ ვერ აფასებენ იმ „დიდმნიშვნელოვან საქმეს, რომელიც დაკისრებული აქვს კულტურულ-განმანათლებელ სექციას. ამ უკანასკნელის მოქმედებას ისინი გულგრილათ ეკიდებიან და ზოგჯერ ალმაცერათაც უყურებენ. ვაქცევ უფროსების ყურადღებას ასეთ დაუშვებელ მოვლენას. ხსენებული სექციის მუშაობა—ეს სხვათა შორისი საქმე კი არა, არამედ—ჯარის საერთო აღზრდაა, გაწვრთნის ორგანიული ნაწილია და ამიტომ მას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ჯარის ნაწილი, რომელშიაც ეს საქმე ცუდათაა დაყენებული და საერთოდ არა სდგას სათანადო სიმაღლეზე, პასუხის მგებელნი არიან არა მარტო სექცია და მისი ხელმძღვანელნი, არამედ—ნაწილის უფროსებიც.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე**.

## ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 8 ივლისს შესდგა საქ. სოც. დემ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი. მოხსენებები ცენტრიდან და თფილ. კომიტეტიდან კრებას არ მოუსმენია. როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა, სარეზერვო ჯგუფები, რომლებიც საჭიროების დროს დახმარებას გაუწევენ სახელმწიფოს, თავდაცვისა და მისი განმტკიცების საქმეში უკვე შემდგარა ტრამვაიში, არსენალში, რკინის გზაში, ჩუღურეთში, კუკიაში და სდგება—მომარაგების კომიტეტშიაც, საერთო პარტიული მუშაობაც კი ჩვეულებრივათ მიმდინარეობს.

ვინაიდან სომხურ სექციის გაზ. „ბანვორი ძაინის“ ფონდის გასაძლიერებლათ კვირას, 11 ივლისს ორთაჭალის მუშათა კლუბში გაიმართება საღამო, კრება ადგენს, ეთხოვოს ჩვენს ამხანაგებს დასწრონ ხსენებულ საღამოს და ხელი შეუწყონ—ბილეთების გასაღებაში.

კრება კოლექტივის მდივნის თანაშემწეობაზე ერთი თვის სტაჟით—იწვევს—ვენ. ჯორბენაძეს.

ცნობა იმის შესახებ, რომ 9 ივლისს 11 საათზე პროფეს. კავშირების დადგენილების თანახმად მუშებმა უნდა გამართონ მანიფესტაციები ბათომის საქ. დაბრუნების გამო,—მიღებულ იქნა მხედველობაში. ვინაიდან იმ ამხანაგებს და მცირე კოლექტივებს, რომლებსაც ნისიათ აქვს წაღებული მარკები არ გაუსწორებიათ ანგარიში კოლექტივისათვის, კრება ადგენს მიეცეს ხსენებულ ამხანაგებს წინადადება 7 დღის განმავლობაში გაუსწორონ ანგარიში კოლექ. კასას.

ვ. სურმავას წერილობითი განცხადება, მიღებულ იქნას პარტიის წევრათო, კრება აკმაყოფილებს.

თედ. **ხუხუნაიშვილი.**

## მუშათა შორის

**თფილისი.** 5 ივლისს, მუშათა სასახლეში შესდგა პარიკმახერთა 1 ივლისის საერთო კრების გაგრძელება.. არჩეულ იქნა გამგეობა შვიდი წევრისაგან შემდგარი. არჩეულ იქნენ: ფიცხელაური, ბუჯიაშვილი, ბერუაშვილი, ჩიტიშვილი, ვახტანგიშვილი, ასტვაცატუროვი და ფირუმიანცი. სარევიზიო კომისიაში: ქანთარია ლევ., ლორია და მანევიჩი. კავშირთა საბჭოში—ქანთარია. საერთო კრებამ დაადგინა: 1 ივლისიდან თვიური გადასახადი იქნას 30 მან. ერთ დროული—10 მან. აგრეთვე კრება მიილო რა მხედველობაში კავშირის უმწეო მდგომარეობა ფინანსიურად, ხმის უმრავლესობით დაადგინა: კავშირის წევრებმა გაიღონ ერთი დღის სამუშაო ხელფასი, კავშირის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 8 ივლისს შესდგა გამგეობის პირველი სხდომა. თავმჯდომარეთ აირჩიეს ფიცხელაური, თავმჯდომარის ამხანაგათ ჩიტიშვილი, მდივნის მოვალეობა დაევალა დროებით ყოფილ მდივანს ამხ. ქანთარიას.

**რიხსვა.**

## პროვინცია

**ბორჯომში** უწინ შედარებით სხვა აგარაკებთან უფრო იაფი იყო ცხოვრება და ამიტომაც იქ მოდიოდა ზაფხულობით დაავადებული მშრომელი ხალხი და მის სამკურნალო მჟავე წყლებით სარგებლობდა. მაგრამ დღეს ბინის სიძვირის გამო მშრომელი ხალხი ვერც ბორჯომის წყაროებით და ვერც მისი მიდამოების კარგ ჰაერით ვერ ისარგებლებს, რადგან ბურთი და მოედანი დარჩენიათ სპეკულიანტებსა და ბინის გამქირავებლებს. მადა გახსნილ სახლის პატრონებს სპეკულიანტები სიამოვნებით აძლევენ ბინის ქირად სეზონში 60,000—80,000 მანეთამდის. თუ შეეცდება ვინმე ერთი ოთახის დაქირავებას, სახლის პატრონი 20 ათას მანეთს თხოულობს. სახლის პატრონებს რა, თქმა უნდა, სასტუმროების პატრონებიც აღარ ჩამორჩებიან.

ერთ-ერთ მეგობრის იმედით, რომელიც უფასო ბინას მპირდებოდა. გავემგზავრე ბორჯომისაკენ; ღამის 11 საათზე მივედი მატარებლით; რადგან სადგურზე ღამის გათევა არ შეიძლებოდა, —იძულებული ვიყავი სასტუმროში გავჩერებულიყავი. მივმართე „სასტუმრო ბორჯომს“ (მაკალათიას ცოლს ეკუთვნის), სადაც მომაქირავეს ერთი ოთახი ულოგინოთ 300 მანეთად. (ქვეშსაგების ფასი ცალკე მომთხოვეს) მეძვირა, მაგრამ მეტი გზა აღარ მქონდა; ეს რა არის.—მეორე დღეს, ფულის მიცემის დროს, მოსამსახურემ სამას მანეთს 25 პროცენტი კიდევ მიუმატა. ამ გვარად ერთი ღამის გათევაში გადამახდევინეს სულ 375 მანეთი; როდესაც შევეკითხე მოსამსახურეს, რისთვის მახდევინებთ ზედმეტს, ხომ გაგირიგდით 300 მანეთად მეთქი,—მან მიპასუხა, 300 მანეთი ხაზეინს ერგება. ჩვენ კი პროცენტები კავშირმა გადაგვიწყვიტაო. ასე ძვირია ბორჯომში ცხოვრება.

**ი. გადიდელი.**

---

**ხიდისთავი** (გურია). მიუხედავათ იმისა, რომ ხიდისთავში საკმაოთ არიან ინტელიგენტური ძალები, კულტურულ დაწესებულებებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. აქ შეიძლებოდა ბევრი რამის დასახელება, რაც მოწმობს ადგილობრივ პირთა დაუდევრობას. ერთ დროს აშენებული საზაფხულო თეატრი უყურადღებოთაა მიტოვებული. რამდენიმეჯერ დაისვა კითხვა, მაგრამ ყოველთვის უშედეგოთ ჩატარდა. აქ არსებობდა განყოფილება ქ. შორ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა. ის უძღვებოდა თეატრს, სამკითხველოს და სხვებს. დაიშალა საზოგადოება და შესწყდა ყოველივე მუშაობაც. აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფაქტიურათ აღარც სამკითხველო არსებობს.

სიმინდი ბაზარზე იშვიათათ გამოაქვთ. უმრავლესობა ყიდულობს. წარმოუდგენელი გაჭირვებაა. თემი უძლურია, საჭიროა დახმარება.

**ი. ლ.**

## წერილი რედ. მიმართ

თანახმად საქართველოს სახაზინო რკ. გზების ექსპლოატაციის უფროსის დეპეშისა 21200643 მე ჩამოყენებული ვარ მემანქარეთ საგანგებო კომიტეტის დადგენილებით ვითომც და იმიტომ, რომ მე თითქოს შეურაცყოფა მიმეყენებინოს კომისიისათვის. ეს ბრალდება სიმართლეს მოკლებულია და აშენებულია კერძო ინტერესებზე ჩემს წინააღმდეგ: მე არავითარი კომისია არ გამილანძღავს. არავითარი წინასწარი გამოძიება ამ საქმის შესახებ არ ყოფილა და მე არავის დაუკითხივარ. ეს არის აშკარა ბოროტება და დემოკრატიულ პრინციპების აბუჩად აგდება.

როდესაც 6 ივლისს საქმის გამოსარკვევათ მე მივმართე რკინის გზის უფროსს—კანდელაკს,—სამსახურიდან სრული დათხოვნით დამემუქრა, არ ამიხსნა, თუ რა მბრალდებოდა და თავის კაბინეტიდანაც გამომაგდო. ამაზე მეტი პიროვნების [illegible] ინება აღარ შეიძლება. ახლა მე [illegible] რკინის გზის უფროსს—კანდელაკისაგან შემდეგს: 1) რომელი კომისია, სად, ან როდის შეურაცყავი? 2) რაში გამოიხატებოდა ეს შეურაცყოფა? 3) რატომ ჩემ ჩამოყენებამდე არ მოახდინა მან გამოძიება, რატომ არავითარი პასუხი არ მომთხოვა და ნამალევათ, თითქოს სინათლის ეშინოდაო, გადაწყვიტა ჩემი ბედ-იღბალი?

გზათა სამინისტროს ვთხოვ გამოიძიოს ეს საქმე და ბოლო მოუღოს ამ გვარ ბოროტებას.

ბორჯომ-ბაღის მემანქარე **მგალობლიშვილი.**

---

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**


## განცხადებანი

**ისყიდება ბაღი** ხეხილისა და ბოსტანისა ნავთლუხში პატარა შენობით. იკითხეთ არტილერიის ქუჩა № 10. (2290—1—1)

**ისყიდება საკერავი მანქანა-შვაფი** ზინგერის სისტემისა. პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

ექიმი **ნ. ა. არუთინოვი** სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (სამარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი **კ. გ. ვართანოვი** სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის საამართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი** სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქ. № 33. (1288 25—4)

**ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი ი. გ. ქუთათელაძე** იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჰქით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვეძიობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. გოკიელი** პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ზ. უ. აღასოვი** სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დღისით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ექიმი **გენრიხ ისაიას ძე ვოლფი** (ქუთაისიდან) ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი **გ. ი. ოყროპირიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **ა. დ. კეკელია** სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **ა. ლევენშტეინი** შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

**ნიკოლოზ მახვილაძე** იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი **სოლომონ ისაიას ძე ვოლფი** (ქუთაისიდან) იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი **ნ. მ. ბაჯელიძე** (შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავადმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)


---

*) ამ დღეებში თფილისში შესდგა მეორე საეკლესიო კრება. კრებაზე თავი იჩინა ორმა მიმდინარეობამ. უმრავლესობამ ნამდვილი კლერიკალური პოზიცია დაიჭირა, უმცირესობა,—როგორც სჩანს, არ იზიარებდა უმრავლესობის შეხედულებას და არ სცნობს ამ უმრავლესობის დადგენილებას სავალდებულოთ, რის შესახებ მათ წერილობით განცხადება შეუტანიათ. ვბეჭდავთ როგორც ინფორმაციას, ამ განცხადებას იმ ადგილების გამოკლებით, სადაც ჩამოთვლილია სხვადასხვა ზომები და საშუალებანი.

**რედ.**